პროლეტარებო — ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 35 (9503) | ოთხშაბათი, 11 თებერვალი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

დღეს გაზეთში

მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩავატაროთ საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეობებში — მოწინავე (1-ლი გვერდი).

განვავითაროთ და სრულვყოთ საბჭოთა მუსიკა — «პრავდის» 10/II მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოში (1-ლი გვერდი).

მკვეთრად ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის დონე (მე-2 გვერდი).

ფელეტონი — დოყლაპიები (მე-2 გვერდი).

ნიჰილური პოეტი (მე-3 გვერდი).

გურჯაანელი მევენახეები ზანტაფონელებს-ეპიგონებს (მე-3 გვერდი).

ერთი ფაბრიკის ხუთწლედი (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — სიმღერები სამშობლოზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩავატაროთ საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეობებში

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესაბამისად ამჟამად კოლმეურნეობებში მიმდინარეობს საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ამ კრებებზე კოლმეურნეები იხილავენ გამგეობათა ანგარიშებს 1952 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ, ირჩევენ გამგეობებს, სარევიზიო კომისიებს და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს იქ, სადაც მათი რწმუნების ვადა გავიდა ან სადაც კოლმეურნეთა კრებები საჭიროდ მიიჩნევენ ხელმძღვანელი საკოლმეურნეო ორგანოების ვადამდე არჩევას. მთელი ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის 20 თებერვლამდე.

საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები დიდი მნიშვნელობის მოვლენაა კოლმეურნეობათა ცხოვრებაში. ამ კრებებზე კოლმეურნეობები წყვეტენ საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების, საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის საკითხებს. ამიტომ ამ კრებების კარგად მომზადება და დროულად ჩატარება ამჟამად პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

ორგანიზებულად მოეწყო საანგარიშო-საარჩევნო კრება ქარელის რაიონის სოფელ დირბის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეებმა მოურიდებლად გააკრიტიკეს გამგეობის გასული წლის მუშაობა და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მოსავლიანობის გადიდების დიდი რეზერვი გასულ წელს მთლიანად არ ყოფილა გამოყენებული. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრება ბათუმის რაიონის სოფელ ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ ოლქებსა და რაიონებში წლიური ანგარიშების შედგენა, საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 1953 წლის 1 თებერვლისათვის 2.055 სასოფლო-სამეურნეო არტელიდან წლიური ანგარიშები განხილული და დამტკიცებული იყო კოლმეურნეთა საერთო კრებებზე მხოლოდ 594 კოლმეურნეობაში. მათ შორის თბილისის ოლქში 843 კოლმეურნეობიდან 149 კოლმეურნეობაში, ქუთაისის ოლქში 739-დან — 203, აფხაზეთის ასსრ 185-დან — 126, აჭარის ასსრ 127-დან — 41 და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 161 კოლმეურნეობიდან — 75 კოლმეურნეობაში.

ცუდად არის მოწყობილი მუშაობა წლიური ანგარიშების შესადგენად, საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩასატარებლად თბილისის ოლქის ახალქალაქის, ახალციხის, ხაშურის, მცხეთის, ახმეტის, ლაგოდეხის, ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის რაიონებში და ქუთაისის ოლქის ტყიბულის, თერჯოლის, აბაშის, ზუგდიდის რაიონებში.

ქუთაისის რაიონის სოფელ გუმათის ორჯონიკიძის სახელობის და სოფელ გეშტბების კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებში, წულუკიძის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩატარებული კრებები უფლებამოსილი არ იყო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა კოლმეურნეობებში საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადების და მიმდინარეობის საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებები მათი მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის. ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს გააუქმოს ზემოაღნიშნულ კოლმეურნეობებში შემდგარი საერთო კრებების დადგენილებანი, ვინაიდან ეს კრებები მოეწყო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევით. აღნიშნულ კოლმეურნეობებში ხელახლა უნდა ჩატარდეს საანგარიშო-საარჩევნო კრებები.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქმედითი ზომები მიიღონ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. მათ უნდა მიაღწიონ იმას, რომ კრებებს დაესწროს ყველა კოლმეურნე, მტკიცედ იქნას დაცული საკოლმეურნეო დემოკრატია, ფართოდ გაჩაღდეს კოლმეურნეობათა გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა და თვითკრიტიკა.

პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები კოლმეურნეებთან ერთად მოვალენი არიან შეიმუშაონ თვითეულ კოლმეურნეობაში პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეობათა მუშაობის სერიოზულ გაუმჯობესებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმის შესრულებას.

კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტთა დაწინაურებას, რომლებიც შემოწმებული არიან პოლიტიკური და საქმიანი ნიშნის მხრივ, აგრეთვე იმას, რომ სამუშაოზე შევინარჩუნოთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად არჩეული სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ამასთან საჭიროა საუკეთესო კოლმეურნეებით განვამტკიცოთ ბრიგადირებისა და ფერმების გამგეების, სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეებისა და სხვა ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების შემადგენლობა. არ შეიძლება კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დავაწინაუროთ ის პირები, რომლებმაც სახელი გაიტეხეს მუშაობაში.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კოლმეურნეობებში ნატურალური და ფულადი შემოსავლის სწორად განაწილებას, რათა მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობები შეასრულებენ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესაბამისად შეიქმნას სათესლე, საფურაჟე, სადაზღვევო და სხვა საზოგადოებრივი ფონდები, შეივსოს არტელის განუყოფელი ფონდები, ამასთან განუყოფელი ფონდების შევსებისად გადაირიცხოს არტელის ფულადი შემოსავლის არანაკლებ 15 და არაუმეტეს 20 პროცენტისა. კოლმეურნეებს დროზე უნდა მიეცეთ შრომადღეებზე კუთვნილი პროდუქტები და ფული.

საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები მიმდინარეობს იმ პერიოდში, როცა კოლმეურნეობები წყვეტენ ისეთ დიდმნიშვნელოვან სამეურნეო ამოცანებს, როგორიც არის საკოლმეურნეო კადრების სწავლება, საგაზაფხულო თესვისათვის მზადება, ზამთრის აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება, პირუტყვის გამოზამთრების მოწყობა. ყველა ამ საკითხის მოგვარებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე დასახულია საბრძოლო ამოცანა — კონკრეტულად უხელმძღვანელონ კოლმეურნეობათა კრებებს. პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, საოლქო აღმასკომების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები ვალდებული არიან პირადად უხელმძღვანელონ კოლმეურნეობათა საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების საკითხებს.

საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები მიმართული უნდა იყოს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისაკენ. საქართველოს კომუნისტების ხელმძღვანელმა — ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1952 წლის 26 მაისს თქვა: „პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა განუწყვეტლივ იზრუნონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის, ფიზიზლად ადევნონ თვალყური სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზუსტად დაცვას, უზრუნველყონ საზოგადოებრივი საკუთრების — საკოლმეურნეო წყობილების საფუძვლის დაცვა, გაფართოება და განმტკიცება“. ეს მითითება განუხრელად უნდა განვახორციელოთ.

საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების წარმატებით მოწყობა კიდევ უფრო განამტკიცებს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობას, ხელს შეგვიწყობს დავრაზმოთ საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალები პარტიის XIX ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გეგმის სასახელოდ შესრულებისათვის.

ი. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე ტომი ჩეხურ ენაზე

პრაღა, 9 თებერვალი. (საკუთარი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, ჩეხოსლოვაკიაში გამოვიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის თხზულებათა მეოთხე ტომი 100 ათასი ცალი ტირაჟით.

საბჭოთა საქართველოში

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საწარმო

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროში მოსკოვიდან მიიღეს ცნობა, რომ თბილისის კონიაკ-არყის ქარხნის კოლექტივი 1952 წლის მეოთხე კვარტალში მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის აღიარებულ იქნა კვების მრეწველობის საწარმოთა შორის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და მიეკუთვნა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამასთან მეოთხე კვარტალში მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვების გამო თბილისის კონიაკ-არყის ქარხანას კვლავ შეუნარჩუნეს „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საწარმოს“ სახელწოდება და მიაკუთვნეს პირველი ფულადი პრემია.

თბილისის მარგარინის ქარხანას — მესამე საკავშირო პრემია

თბილისის მარგარინის ქარხნის კოლექტივმა 1952 წლის მეოთხე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა შორის გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვა გამარჯვება და მესამე საკავშირო პრემია.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა მტკიცედ შეინარჩუნოს მოპოვებული წარმატება და მიაღწიოს მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

მექანიკოს ა. ფეიქრიშვილის მიღწევა

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მეოთხე საამქროში, სადაც ქალის ფეხსაცმელს ამზადებენ, საამქროს მექანიკოსმა ა. ფეიქრიშვილმა განახორციელა საყურადღებო ნოვატორული ღონისძიება.

რამდენიმე ხნის წინათ საამქროში გაჩერდა ფეხსაცმლის საპირის გადასაკერავი მანქანა. იგი დიდხანს უმოქმედოდ იდგა. მანქანა მწყობრიდან გამოვიდა, რადგან ტილოს ამძრავი გაფუჭდა და მისი გამოცვლის საშუალება არ იყო.

ა. ფეიქრიშვილმა გადააკეთა ამძრავი, შეცვალა იგი ფოლადის მარტივი კბილანებით. ამ ღონისძიებამ საუცხოო შედეგი მოგვცა, ამჟამად ეს მანქანა შეუფერხებლად მუშაობს.

ვიმუშაოთ თებერვალში უკეთესად, ვიდრე ვმუშაობდით იანვარში

წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ჩაბმულია ახალი სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში. მეორთქლმავლეებმა თვალსაჩინო წარმატებების მოპოვებისათვის სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე ორგანიზებულად დაიწყეს მუშაობა და იანვრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, მნიშვნელოვნად შეამცირეს ორთქლმავლების სარემონტოდ დგომის დრო.

იანვარში ყველაზე კარგ შრომითს წარმატებებს მიაღწია გარეცხვითი შეკეთების საამქროს კოლექტივმა, — თვიური დავალების გადამეტებით შეაკეთა 6 ორთქლმავალი.

მექანიკურ საამქროში შეიქმნა დეტალების ჩქაროსნული დამუშავების უბნები. ამ წამოწყებას სათავეში ჩაუდგნენ მოწინავე ხარატები. ამჟამად ხარატების 80 პროცენტი ჩქაროსნული მეთოდით მუშაობს.

დეტალების დამამზადებელ საამქროში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება გაცვეთილი დეტალების განახლებისა და შემდგომ მათი გამოყენების გზით ორთქლმავლების რემონტის თვითღირებულების შემცირებისათვის.

დეპოს მეორთქლმავლეებმა წარმატებას მიაღწიეს იანვარში საწვავის მომჭირნეობით ხარჯვაში. მათ თვის განმავლობაში დაზოგეს 465 ტონა საწვავი.

მძიმე წონის მატარებლების მემანქანეებმაც გადაჭარბებით შეასრულეს სადღეღამისო გარბენის ნორმები, გაადიდეს ორთქლმავლების შეკეთებათაშორისი გარბენა და დიდი რაოდენობით დაზოგეს საწვავი. მემანქანე დ. სიმონიძემ იანვარში 19 ტონა საწვავი დაზოგა, რ. მელიქსეტიანმა — 19 ტონა, ვ. ჩომახიძემ — 17 ტონა, ლ. ბერიძემ — 15 ტონა, გ. წიკლაურმა — ამდენივე და ა. მამაჯანაშვილმა — 12,5 ტონა.

დეპოს კოლექტივი თებერვალში თავდადებით მუშაობს, რათა ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნოს ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე — 22 თებერვალი.

შეუდგნენ ჩქაროსნული საქსოვი დაზგების ათვისებას

ახალი სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე გადიდებული საწარმოო ამოცანების შესრულება დაისახეს მიზნად თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა. ამისათვის მათ დიდი წინასწარი მზადება გასწიეს, სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე შეწყობილად იწყეს მუშაობა და შედეგიც კარგი მიიღეს — იანვარში როგორც საერთო პროდუქციის, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 100,3 პროცენტით შეასრულეს.

ახლა ქარხნის კოლექტივი მუშაობს ახალი მარკის ჩქაროსნული აბრეშუმსაქსოვი დაზგის ასათვისებლად. წელს ქარხანაში უნდა აითვისონ და გამოუშვან აგრეთვე სამი სხვადასხვა სახის სატვირთო ლიფტები.

ამ ამოცანათა შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო მზადება კარგა ხანია დაიწყეს. ამჟამად ქარხნის ყველა საამქრო გადასულია ახალი მარკის ჩქაროსნული აბრეშუმსაქსოვი დაზგების დეტალთა დამზადებაზე. საამქროებში სადაზგე დეტალების დამზადების საქმე აწყობილია ისეთი ანგარიშით, რომ მარტში ქარხანამ შეძლოს რამდენიმე ჩქაროსნული საქსოვი დაზგის გამოშვება საცდელად, ხოლო შემდგომ თვეებში შეუდგეს ამ დაზგების სერიულ გამოშვებას.

ქარხნის საამქროებში მასობრივად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის — 22 თებერვლის აღსანიშნავად. შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა მეორე ამწყობი საამქროს კოლექტივი.

ამ შეჯიბრებაში სარეკორდო საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ ცნობილი სტახანოველი მჭედელი ვ. კორძაძე, წარჩინებული ხარატები — მ. აკოფოვი, მ. კოვალიოვი, ი. პროკოფიევი და მეყალიბე ი. სპიცინი. ისინი ნორმებს ოთხმაგად და ხუთმაგად ასრულებენ.

ბაქოელები რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქიდან — ბაქოდან რუსთავში ჩამოვიდა ბაქოს მილსაგლინავი ქარხნის 60-მდე ახალგაზრდა მუშა. მათი ჩამოსვლის მიზანია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში პრაქტიკის მიღება, კვალიფიკაციის ამაღლება.

ბაქოელი თანამოძმეები რუსთაველმა მეტალურგებმა გულთბილად მიიღეს. ისინი გაანაწილეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ღუმელების მომსახურე ცვლებს შორის, მასწავლებლად მიჩენილი ჰყავთ გამოჩენილი ქართველი მეფოლადეები, რომლებიც მათ შეასწავლიან მეფოლადის თანაშემწის, მსხმელის, მეარხის, ჩამტვირთავი მემანქანის და სხვა პროფესიებს.

ახალგაზრდა აზერბაიჯანელი მუშები ჩაბმულნი იქნებიან მარტენის საამქროსთან არსებულ სპეციალურ ტექნიკურ წრეებში, რომლებსაც ხელმძღვანელობენ საამქროს საუკეთესო ინჟინერ-ტექნიკოსები და მეფოლადეები.

აღმოსავლური ტკბილეული, უალკოჰოლო სასმელები

თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის კვების სამრეწველო კომბინატმა უკანასკნელ ხანებში მრავალი სახის პროდუქცია აითვისა. კომბინატი საქართველოში ერთადერთი საწარმოა, რომელიც ამზადებს შოკოლადის, არახისისა და სხვ. ხალვას. აქ მზადდება სხვადასხვა აღმოსავლური ტკბილეული.

კომბინატის პროდუქციის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს უალკოჰოლო სასმელები. აქ დამზადებული ციტრუსებისა და სხვა ხილის ნაყენი დიდი რაოდენობით ეგზავნება მოსკოვის, ლენინგრადის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის და სხვ. უალკოჰოლო სასმელების მრეწველობას.

შარშან კომბინატის საწარმოებმა დაიწყეს პანტისა და მაჟალოს გადამუშავება და დაამზადეს 12.300 დუალიტრი ნატურალური წვენი. ადგილობრივი რესურსების გამოყენებით აქ მზადდება აგრეთვე სუფრისა და არომატული ციტრუსოვანი ძმარი.

კომბინატი გასული წლის პირველი კვარტალიდან თავისი საწარმოო და ხარისხობრივი მაჩვენებლებით ინარჩუნებს პირველ ადგილს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. მიმდინარე წლის იანვრის გეგმა კომბინატმა ასორტიმენტის დაცვით 118,4 პროცენტით შეასრულა.

კომბინატი მიზნად ისახავს მრავალი ახალი სახის პროდუქციის გამოშვებას. დიდი რაოდენობით იქნება დამზადებული უალკოჰოლო სასმელები, ნატურალური ხილის წვენი, ხალვა, მოხალული ნუში და თხილი, რახათლუხუმი, შაქარლუხუმი, ყინვარშაქარი და სხვ.

განვავითაროთ და სრულვყოთ საბჭოთა მუსიკა

დღეს სრულდება ხუთი წელი იმ დღიდან, რაც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული დადგენილება ოპერა „დიადი მეგობრობის“ შესახებ. ეს დადგენილება საბჭოთა ხელოვნებისათვის უდიდესი იდეური ძალისა და მხატვრული მნიშვნელობის საპროგრამო დოკუმენტი გახდა.

გამოხატა რა მთელი საბჭოთა ხალხის ფიქრები და გრძნობები, პარტიამ მკაცრად დაგმო ფორმალისტური და კოსმოპოლიტური დამახინჯებანი ხელოვნებაში, მოუწოდა კომპოზიტორებს „განმამსჭვალონ იმ მაღალი მოთხოვნების შეგნებით, რომლებსაც საბჭოთა ხალხი მუსიკალურ შემოქმედებას უყენებს, უკუაგდონ თავისი გზიდან ყოველივე, რაც ასუსტებს ჩვენს მუსიკას და ხელს უშლის მის განვითარებას, უზრუნველყონ შემოქმედებითი მუშაობის ისეთი აღმავლობა, რომელიც სწრაფად წასწევს წინ საბჭოთა მუსიკალურ კულტურას...“

განვლილი წლების მანძილზე საბჭოთა მუსიკა გამდიდრდა ვოკალურ-სიმფონიური ჟანრის ახალი ნიჭიერი ნაწარმოებებით, რომლებიც უმღერიან ჩვენს დიად სამშობლოს, ქება-დიდებას ასხამენ კომუნიზმის მშენებელი, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი საბჭოთა ხალხის მგირობას.

მსმენელთა უფართოესი მასების სიყვარული და აღიარება დაიმსახურა ჩვენი კომპოზიტორების საუკეთესო სიმღერებმა, რომლებშიც მარილად არის ასახული სტალინური ეპოქის უბრალო საბჭოთა ადამიანი, მისი მებრძოლი პატრიოტული სული, მისი მამაცობა და სიმტკიცე ბრძოლაში, სიბეჯითე შრომაში, ერთგულება მეგობრობაში, გულითადობა სიყვარულში.

ჩვენი ქვეყნის თეატრებში იდგმება თანამედროვე ოპერები, ბალეტები და მუსიკალური კომედიები, რომლებიც სამწუხაროდ ჯერ კიდევ ცოტაა: ტ. ხრენნიკოვის ოპერა „ქარიშხალში“ ახალი რედაქციით, ი. მეიტუსის „ახალგაზრდა გვარდია“, დ. კაბალევსკის „ტარასის ოჯახი“, ე. კაპის „თავისუფლების მომღერალი“ და ზოგიერთი სხვა.

საბჭოთა კომპოზიტორების მიერ მოპოვებული წარმატებანი განუყრელად დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში ხალხური მუსიკალური შემოქმედების მძლავრ აყვავებასთან. ხალხური მუსიკის პოეტურ სახეთა სამყარო დაუშრეტელი საგანძურია პროფესიული ხელოვნებისათვის.

საბჭოთა კომპოზიტორების საუკეთესო სიმღერები მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მათ მღერიან მრავალ ენაზე, როგორც მძლავრ მოწოდებას ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. საბჭოთა მუსიკის მრავალმა მნიშვნელოვანმა ნაწარმოებმა უცხოეთის, განსაკუთრებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უბრალო ადამიანთა მხურვალე სიმპათია დაიმსახურა.

უდავოა საბჭოთა მუსიკის წარმატებანი და მისი ნაყოფიერი გავლენა უცხო ქვეყნების პროგრესულ ხელოვნებაზე, მაგრამ საბჭოთა ადამიანებს არ სჩვევიათ მიღწეულით დაკმაყოფილება. სწორი არ იქნებოდა არ დაგვენახა ის დიდი ნაკლოვანებანი, რომლებიც აფერხებენ საბჭოთა მუსიკის განვითარებას.

პარტიისა და ხალხის მიერ მუსიკალური ხელოვნების წინაშე დასახული ამოცანები მოითხოვენ განუხრელ წინსვლას, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის სრულ დაუფლებას, საბჭოთა მუსიკალური კლასიკის შექმნას. ამ ამოცანების ღირსეულად შესრულებისათვის საჭიროა ღრმად და ყოველმხრივ შევისწავლოთ ხალხის ცხოვრება და მისი რევოლუციური განვითარება, დაუცხრომლად ვაუმჯობესოთ ოსტატობა, ვისწავლოთ და ვისწავლოთ დიდი კლასიკოსების გამოცდილებით.

ბევრი ჩვენი კომპოზიტორი ჯერ კიდევ კარჩაკეტილად, განკერძოებულად მუშაობს, ზერელედ იცნობს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებას, არ ეუფლება მხატვრული სახეებით ჩვენი სინამდვილის ტიპიური მოვლენების რეალისტური ასახვის ოსტატობას.

ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა ჩვენი თანამედროვეობის თემებზე დაწერილი ოპერები, ბალეტები, მუსიკალური კომედიები, აგრეთვე დიდი პროგრამულ-სიმფონიური ნაწარმოებნი. მათგან საუკეთესოებსაც კი აკლია მელოდიური გამომსახველობა და დრამატურგიული ოსტატობა.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1936 წელს აღნიშნავდა, რომ ჩვენმა საოპერო კომპოზიტორებმა ბევრი და გულმოდგინედ უნდა იმუშაონ, რათა დაეუფლონ მთელ რესურსებს, რაც საჭიროა საბჭოთა გმირების მამოძრავებელი იდეებისა და ენებათა ღელვის სრულფასოვნად გამოვლინებისათვის მუსიკაში.

საბჭოთა ოპერის უმნიშვნელოვანესი, საკვანძო პრობლემაა იმის უნარი, რომ მუსიკალური დრამატურგიის საშუალებებით მართლად და ვაბედულად გვიჩვენოს ცხოვრების კონფლიქტები და წინააღმდეგობანი, გადმოგვცეს ჩვენი დროის გმირების ხასიათის ტიპიური ნიშნები.

კომპოზიტორები და ლიბრეტოს ავტორები, რომლებიც შეიარაღებული არ არიან ცხოვრების ნამდვილი ცოდნით, მისი ხატოვანი გამოხატვის ოსტატობით, ამ ამოცანას უდგებიან განყენებულად, მწიგნობრულად. ამიტომ ხშირად ცოცხალი, მელოდიურად მკაფიო, ემოციურად მდიდარი სახეების ნაცვლად ვიღებთ მშრალ სარეჟისერო სქემას, რეალური გმირების ნაცვლად გვევლინებიან ვიღაც უეროვნო, უფერული, პიროვნული საოპერო პერსონაჟები, რომლებსაც აკლიათ ინდივიდუალობის ტიპიური ნიშნები.

საბჭოთა საზოგადოებრიობამ სამართლიანად დაგმო გ. უუკოვსკის უხეიერო ოპერა „მთელი გულით“, რომელშიც საბჭოთა ადამიანების სახეები, ცხოვრების სიმართლის საწინააღმდეგოდ, გაღარიბებული, დაკნინებული აღმოჩნდა. საამწუხაროდ, ყველა კომპოზიტორმა და კრიტიკოსმა როდი გამოიტანა აქედან საჭირო დასკვნები.

ხელოვნების საქმეთა კომიტეტში, კომპოზიტორთა კავშირსა და მის მუსიკალური თეატრის კომისიაში ბევრი სხდომა იმართება და ძალიან ბევრს მსჯელობენ „ოპერის პრობლემაზე“, მაგრამ ამ სხდომებს ბევრი ვერაფერი ნაყოფი მოაქვს. კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოს თავისი მუშაობის ქვაკუთხედად არ გაუხდია მხატვრულად სრულფასოვანი ოპერების შექმნა. ჩვენი გამოჩენილი ოსტატები, აგრეთვე ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორი ჯეროვნად არ არიან ჩაბმულნი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. უნდა ითქვას, რომ კომპოზიტორთა კავშირის ზოგიერთი ხელმძღვანელიც ვერ იძლევა შემოქმედების ღირსეულ მაგალითს ახალ ოპერებზე მუშაობაში. განა დრო არ არის, რომ ბოლო მოეღოს კომპოზიტორთა ფუქსავატურ დამოკიდებულებას შემოქმედებითი მოვალეობის შესრულებისადმი?

საჭიროა გადაჭრით გავადიდოთ ესთეტიკური მოთხოვნები ყველა ჟანრის მუსიკალურ ხელოვნებაში, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია წარმატებანი სიმფონიურ, კამერულ მუსიკაში, საგუნდო და სასიმღერო შემოქმედებაში, ბევრი ნაწარმოების მხატვრული დონე კვლავ დაბალია. რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო სასიანო, ვიდრე მოწყენილობა, შაბლონი, მომაბეზრებელი ერთფეროვნება მუსიკაში? ამავე დროს ჯერ კიდევ რამდენი ჩნდება უფერული, უსახო, ზოგჯერ კი აშკარად ხალტურული ნაწარმოებნი! და ასეთ ნაწარმოებებს ხშირად ბეჭდავს მუსიკალური გამომცემლობა, ისინი შეაქვთ კონცერტებისა და რადიოგადაცემათა რეპერტუარში, რითაც აშკარა ზიანს აყენებენ ჩვენს ხელოვნებას.

საბჭოთა მუსიკის განვითარების ბევრი ნაკლის ერთ-ერთი მიზეზია მუსიკალური კრიტიკის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. გაზეთმა „ხელოვნებამ“ ისკუსსტვომ“ თავი აარიდა მუსიკალური შემოქმედების სერიოზულ პრინციპულ კრიტიკას, მუსიკალური ესთეტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა დაყენებასა და განხილვას. ხუსტად არის გაშლილი კრიტიკა ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკის“ ფურცლებზე.

კომპოზიტორთა კავშირში იშვიათად იმართება ფართო შემოქმედებითი დისკუსიები და მათ ჯერ კიდევ ვერ ახასიათებს მაღალი თეორიული დონე. კავშირის კომისიები და სექციები კარჩაკეტილად მუშაობენ. არა ჩანს ჯეროვანი მოთხოვნელობა მუსიკალურ ნაწარმოებთა შეფასებაში. ასეთი უდარდელობის პირობებში უფერულ, ხუსტ ნაწარმოებებს დაუმსახურებელ რეკომენდაციას აძლევენ, ისინი ადვილად იკაფავენ გზას რეპერტუარში და სევდას ჰგვრიან მსმენელებს.

საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გამგეობის მეექვსე პლენუმმა, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს, ფართოდ უნდა განიხილოს მუსიკალური შემოქმედების სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხები იმ ამოცანების თვალსაზრისით, რომლებიც კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ დაგვისახა. საჭიროა საქმიანი, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში დაისახოს საბჭოთა მუსიკის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის კონკრეტული გზები.

საბჭოთა მუსიკა ჩვენი სამშობლოს სოციალისტური კულტურის დიდმნიშვნელოვანი, განუყოფელი ნაწილია. პარტია მუდამ მამობრივად ზრუნავდა და ზრუნავს იმისათვის, რომ განვითარდეს და აყვავდეს საბჭოთა მუსიკალური ხელოვნება, რომელიც გამსჭვალულია თანამედროვეობის მოწინავე იდეებით და რომელიც უნდა ემსახურებოდეს საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის დიად საქმეს.

„რეალისტური ხელოვნების ძალა და მნიშვნელობა ის არის, — აღნიშნა ამხ. გ. მ. მალენკოვმა მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე, — რომ მას შეუძლია და კიდევაც უნდა გამოავლინოს და გვიჩვენოს რიგითი ადამიანის მაღალი სულიერი თვისებები და მისი ხასიათის ტიპიური დადებითი ნიშნები, შექმნას მისი მკაფიო მხატვრული სახე, რომელიც სამაგალითო და მისაბაძი იქნება ადამიანებისათვის.“

პარტიის შთამაგონებელი მითითებანი განვითარებისა და აყვავების ფართო გზას უნათებენ სოციალისტურ კულტურას. ჩვენი საბჭოთა კომპოზიტორების მოვალეობაა ღრმად შეისწავლონ ცხოვრება, სრულყონ რეალისტური ოსტატობა და უხვად შექმნან დიდი საბჭოთა ხალხის შესაფერი მხატვრულად სრულფასოვანი მკაფიო ნაწარმოებნი.

„პრავდის“ 10/II მოწინავე.

მკვეთრად ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის დონე

საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმზე

შედგა საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის III პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ბუჯიაშვილის მოხსენება — პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესწავლის მიმდინარეობისა და თბილისის ოლქის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების, ყრილობის დასკვნითს სხდომაზე ამხანაგ სტალინის სიტყვის და მისი გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ღრმად შესწავლისათვის. ყრილობის შედეგები განხილულ იქნა საქალაქო და რაიონულ პარტიული აქტივის კრებებზე, აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე. როგორც საქალაქო და რაიონული პარტიული აქტივის, ისე პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებების დიდი უმრავლესობა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების მოურიდებელი მხილების ნიშნით ჩატარდა. ამასთან ერთად ამხ. კ. ბუჯიაშვილი ასახელებს ხაშურის, ლაგოდეხისა და მთელ რიგ სხვა რაიონებს, სადაც ვერ უზრუნველყვეს ყრილობის შედეგების განხილვისადმი მიძღვნილი პარტიული აქტივის კრებების მომზადებულად ჩატარება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითების საფუძველზე გასული წლის დეკემბრიდან პარტიული განათლების მთელი ქსელი გადაყვანილია XIX ყრილობის მასალების და ახალი გენიალური სტალინური ნაშრომების შესწავლაზე. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები, ათასობით პარტიული და უპარტიო მუშაკი პოლიტსკოლებში, წრეებში და სემინარებში გულმოდგინედ სწავლობენ ამ ისტორიულ დოკუმენტებს.

ამჟამად 37 ათასამდე აგიტატორი და პროპაგანდისტი ეწევა თბილისის ოლქის მშრომელთა შორის ყრილობის მასალების განმარტებას, აწყობს საუბრებს, ლექციებსა და მოხსენებებს. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში პარტიის საოლქო კომიტეტის, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ძალებით წაკითხულია 1.845 ლექცია და მოხსენება, მიძღვნილი ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომისადმი.

ამასთან ერთად მომხსენებელი მკაცრად აკრიტიკებს იდეოლოგიურ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამხ. კ. ბუჯიაშვილი აღნიშნავს, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ იჩენს იდეოლოგიური მუშაობის საკითხების შეუფასებლობას. მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები მთელი სერიოზულობით არ მოეკიდნენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვისა და მისი გენიალური ნაშრომის პროპაგანდის საქმეს. პირველ რიგში ეს ითქმის ხაშურის, ლაგოდეხის და ზოგიერთი სხვა პარტიული ორგანიზაციის შესახებ. ყრილობის მასალების პროპაგანდა არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი, მაგალითად, ლაგოდეხის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში. ამ რაიონის მთელ რიგ საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში დაბალია კომუნისტების იდეური მომზადების დონე, მათი ბრძოლისუნარიანობა. თვით პარტიის რაიკომი და მისი პირველი მდივანი ამხ. მირიანაშვილი დუნედ მუშაობენ, კრიტიკულად არ აფასებენ თავიანთ მუშაობას და თვითდამშვიდების მავნე განწყობილებას ეძლევიან. დამახასიათებელია, რომ რაიონული პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც XIX ყრილობის შედეგების განხილვას მიეძღვნა, პირველადი პარტიული ორგანიზაციის არც ერთი მდივანი არ გამოსულა სიტყვით, ხოლო 8 მოკამათიდან ერთის გარდა არც ერთი არ შეხებია იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს.

ამხ. კ. ბუჯიაშვილი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური განათლების წინაშე დასახული ახალი ამოცანები მოითხოვენ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ზრუნვა პროპაგანდისტთა, კონსულტანტთა და ლექტორ-მომხსენებელთა კადრების სწორად შერჩევისა და აღზრდის საქმისადმი, ვინაიდან იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარია მეცადინეობის ხარისხი, ლექციის მაღალი იდეურ-თეორიული დონე. პარტიის ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტი, — ამბობს მომხსენებელი, — ჯერ კიდევ გულისხმიერად არ ეკიდება პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმეს, რასაც არ შეუძლია უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს მეცადინეობის ხარისხზე. სწორად ვერ შეარჩიეს, მაგალითად, პროპაგანდისტთა კადრები პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძისა და გორის რაიონულმა კომიტეტებმა.

პროპაგანდისტთა ნაყოფიერი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტთა სემინარების მეცადინეობის მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე მოწყობას. მაგრამ ზოგან ამ საქმეს სათანადო ყურადღება არ ექცევა. პროპაგანდისტთა სემინარები ცუდად მუშაობენ ბოლნისის, ადიგენის, კასპის, თიანეთის, დუშეთის, ახმეტისა და ხაშურის რაიონებში. სუსტად მუშაობენ და ჯეროვან დახმარებას ვერ უწევენ პროპაგანდისტებს დასახელებული რაიონების პარტიული ბიბლიოთეკები.

ყველაფერი რიგზე არ არის აგრეთვე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში. თავისი მუშაობის შინაარსით იგი უნდა წარმოადგენდეს პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა კადრების აღზრდის კერას. ამ ამოცანას ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ ცუდად ასრულებს. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სავალალო მდგომარეობაშია პროპაგანდისტთა სემინარების მეცადინეობაზე დასწრების საქმე. ზოგიერთი პროპაგანდისტი, მათ შორის ი. იოსელიანი, ი. ნანობაშვილი, ო. ყანჩელი (თბილისის მოლოტოვის რაიკომი), დადიანი, გველესიანი, ცისკარიშვილი, ე. კანდელაკი, ტ. მეტრეველი (ბერიას რაიკომი), მიმდინარე სასწავლო წელს სრულებით არ დასწრებია მეცადინეობას. ამასთან ხშირია შემთხვევა, როცა სემინარის მეცადინეობა წინ არ უსწრებს წრეში და პოლიტსკოლებში ამავე თემაზე გამართულ მეცადინეობას.

ამხ. კ. ბუჯიაშვილი აკრიტიკებს ზოგიერთ საქალაქო და რაიონულ კომიტეტს, რომლებიც მთავარ ყურადღებას აქცევენ საქმის ორგანიზაციულ მხარეს, პოლიტსკოლებისა და წრეების დაკომპლექტებას, თუმცა აქაც ბევრ დამახინჯებას ვხვდებით, და მხედველობიდან უშვებენ თვით მეცადინეობის ხარისხს. ამით აიხსნება ის, რომ პარტიულ სწავლებაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფორმალობისა და სკოლარობის ელემენტები.

იდეოლოგიურ მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექციურ პროპაგანდას. მიუხედავად ამისა, პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი ამ საქმის აშკარა შეუფასებლობას იჩენს. მაგალითად, სიღნაღისა და წალკის რაიონებში 22 იანვრამდე არც ერთი ლექცია არ წაუკითხავთ სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების საკითხებზე, ხოლო საგარეჯოს. მარნეულის, ყვარლის, დმანისისა და გარდაბნის რაიონებში მხოლოდ რამდენიმე ლექციის წაკითხვით დაკმაყოფილდნენ. ამასთან აღსანიშნავია, რომ ლექციების იდეური დონე დაბალი იყო, რაიკომის მდივნები კი არ დაინტერესდნენ, თუ როგორი ლექციებით გამოდიან ლექტორები მოსახლეობის წინაშე. ამხ. კ. ბუჯიაშვილი მკაცრად აკრიტიკებს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საოლქო განყოფილებას, რომელიც ძალიან ცუდად მუშაობს. ამასთან ზოგიერთი ლექტორი აშკარა წამგლეჯობის გზაზე დამდგარა და სრულებით ვერ ამართლებს ლექტორის მაღალ სახელწოდებას.

მომხსენებელი ლაპარაკობს, რომ თბილისის ოლქის კომკავშირულ ორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომის მნიშვნელობის ახსნა-განმარტება და პროპაგანდა. ეს იმით აიხსნება, რომ კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პარტიის სათანადო კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევენ კომკავშირის პოლიტიკური განათლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს, დროზე ვერ ამჩნევენ მათ და არ იღებენ ზომებს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა გადაჭრით გააუმჯობესონ კომკავშირელებსა და კომკავშირგარეშე ახალგაზრდობაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობა.

კომუნისტებისა და უპარტიო მასების აქტივობისა და პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიური მუშაობის სწორად დაყენებას, მშრომელთა აღზრდას სამშობლოსადმი ერთგულებისა და მგზნებარე პატრიოტიზმის სულისკვეთებით. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებსაც არ ესმით, რომ საჭიროა ცოდნის ყოველდღიურად შევსება, იდეურ-პოლიტიკური დონის სისტემატურად ამაღლება. ასეთი ამხანაგებისათვის შეუმჩნეველი რჩება ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებები. ამხ. კ. ბუჯიაშვილი ასახელებს მთელ რიგ ხელმძღვანელ მუშაკებს, მათ შორის თეთრი წყაროს რაიკომის მდივანს ამხ. მ. მაისურაძეს, თელავის რაიკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგეს ამხ. ლ. საჩიშვილს, თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომის მეცხოველეობის სამმართველოს უფროსს ამხ. დ. კალატოზიშვილს და სხვებს, რომლებიც უდარდელობას იჩენენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საქმეში.

ამხ. კ. ბუჯიაშვილი ლაპარაკობს სამეცნიერო მუშაობის აღმავლობაზე, რაც გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ამხანაგ სტალინის გენიალურმა ნაშრომმა. ამასთან მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელსა და სამეცნიერო დაწესებულებაში არის მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებათა დამახინჯების ფაქტები. ცალკეული მეცნიერი მუშაკები ცოტას მუშაობენ თავიანთი თეორიული მომზადების ამაღლებისათვის, რაც გავლენას ახდენს მათი ლექციებისა და შრომების იდეურ დონეზე. ამ მხრივ დამახასიათებელია ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. იგი შეეგუა ინსტიტუტის ნაკლოვანებებს და უწინარეს ყოვლისა იმ უაღრესად სერიოზულ იდეოლოგიურ დამახინჯებებს, რომლებიც დამშვებულია ზოგიერთი მეცნიერი მუშაკისა და თვით ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ გ. ჩუბინაშვილის შრომებში.

ის ფაქტი, რომ ს. წერეთლის ანტიმარქსისტული, იდეალისტური ნაშრომი სადოქტორო დისერტაციად იქნა გატანილი, ცხადყოფს, რომ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტი და მისი მდივანი ამხ. გ. ჭანუყვაძე ამ მხრივ ძალიან სუსტად მუშაობენ.

ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ ნათელი გახდა ზოგიერთი ქართველი ეკონომისტის მიერ გამოქვეყნებულ შრომებში დაშვებული სუბიექტურ-იდეალისტური ხასიათის შეცდომები. ასეთი შრომები სერიოზულ ზიანს აყენებენ ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს, მაგრამ მათ ავტორებს, დოცენტებს რ. მელაძეს, ი. კოდუას, ვ. ბახტაძეს, ა. გოკიელს და სხვებს, აზრადაც არ მოსდით გააკრიტიკონ და დაგმონ თავიანთი შეცდომები.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, სამეცნიერო კადრების, პრესის ამოცანაა ულმობლად ამხილონ იდეოლოგიურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და შეცდომები. საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობაში, არამედ თვით პროფესორ-მასწავლებელთა და სამეცნიერო კადრებს შორის.

მომხსენებელი ეხება იმ ამოცანებს, რომლებიც ამჟამად საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების წინაშე დგას ყრილობის მასალებისა და დიდი სტალინის გენიალური ნაშრომის პროპაგანდასთან დაკავშირებით, და ამბობს, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ გაზეთების მუშაობას, გამოასწორონ მათს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, გადააქციონ ისინი პარტიის მებრძოლ ორგანოებად.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, — ამბობს დასასრულ ამხ. კ. ბუჯიაშვილი,—ჩვენგან მოითხოვს იდეოლოგიური მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, აქტივის პოლიტიკური სწავლების მაღალ იდეურ დონეზე დაყენებას. თბილისის ოლქის პარტიული ორგანიზაცია ყველა ზომას მიიღებს ცენტრალური კომიტეტის ამ მოთხოვნის წარმატებით განსახორციელებლად.

ამხ. კ. ბუჯიაშვილის მოხსენების გამო კამათში პირველი გამოვიდა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. დ. რომელაშვილი.

— მთელი პარტიული ქსელის გადაყვანა ყრილობის მასალებისა და ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომის შესწავლაზე, — ამბობს იგი, — მნიშვნელოვანი მოვლენაა გორის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. კომუნისტები და უპარტიო მასები ღრმად სწავლობენ კომუნიზმის საპროგრამო დოკუმენტებს. შემდეგ იგი ლაპარაკობს იდეოლოგიური მუშაობისადმი პარტიული კონტროლის მნიშვნელობაზე და მოჰყავს ამის სათანადო მაგალითები. მან გააკრიტიკა კომკავშირის საოლქო კომიტეტი, რომელიც ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ ქალაქ გორის ახალგაზრდობისათვის მოაწყოს მაღალკვალიფიციური ლექციები.

პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. ქ. კაპანაძემ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც რაიონში ხორციელდება XIX ყრილობის მასალებისა და ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ პროპაგანდისათვის. მან გააკრიტიკა პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (დირექტორი ამხ. დ. ლორთქიფანიძე) იმისათვის, რომ იქ ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების აღზრდისათვის.

— ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომით აღფრთოვანებულმა ახალციხის რაიონის კოლმეურნეებმა, — თქვა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ჰ. ცაგარეიშვილმა, — გასული წლის სასოფლო-სამეურნეო გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. მუშაობა გააუმჯობესეს ახალციხელმა მეშახტეებმა. ამხ. ცაგარეიშვილმა მკაცრად გააკრიტიკა პარტიის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფი, რომელიც არ ითვალისწინებს ახალციხელ მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნებს. მან განაცხადა, რომ მინდობილი საპატიო საქმის შესრულებას ფორმალურად უდგებიან პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის მიერ მოვლენილი ცალკეული ლექტორები.

პარტიის ქასპისა და ბორჯომის რაიკომების მდივნებმა ამხ. ლ. ჯავახიშვილმა და ამხ. გ. კავსაძემ ილაპარაკეს იმ მუშაობაზე, რასაც პარტიის რაიკომები ახორციელებენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. მათ ილაპარაკეს სალექციო პროპაგანდის მნიშვნელობაზე და აღნიშნეს, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება რაიონებში წინასწარ არ გზავნის ლექციების გეგმას, რაც ხელს უშლის აუდიტორიის მომზადებას, ზოგჯერ კი თვით ლექციის ჩაშლასაც იწვევს.

— სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეები, ჩვენი ქალაქის მშენებლები, პარტიული და უპარტიო აქტივი, — განაცხადა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ჩალაძემ, — დიდი მონდომებით სწავლობენ XIX ყრილობის მასალებს, ამხანაგ სტალინის კლასიკურ ნაშრომებს. მაგრამ იმის გამო, რომ პარტიული განათლებისადმი კონტროლი ჯერ კიდევ სუსტია, ამ საქმეში ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს — მეცადინეობის ჩაშლის, პროპაგანდისტის ან მსმენელის მოუმზადებლად გამოცხადების, კონსულტანტთა უპასუხისმგებლობის ფაქტებს.

— კომკავშირის პოლიტიკური განათლების ქსელში არსებული ნაკლოვანებანი, — თქვა კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. კავთიაშვილმა, — ძირითადად აიხსნება კომკავშირის საოლქო კომიტეტის არაოპერატიული ხელმძღვანელობით ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლებისადმი. განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული ყრილობის მასალების შესწავლა კომკავშირის ყაზბეგის, თეთრი წყაროს, დმანისის ორგანიზაციებში. არის შემთხვევები, როცა პარტიის ზოგიერთი რაიკომი არ ამტკიცებს კომკავშირის პოლიტიკური განათლების ქსელის პროპაგანდისტებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პარტიის რაიკომის მდივნებმა ამხ. ა. ბექაურმა (დუშეთი), ამხ. გ. მირიანაშვილმა (ლაგოდეხი) და ამხ. ი. კავილაძემ (წალკა).

* * *

პლენუმმა მეორე საკითხად განიხილა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ს. ჭელიძის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების, მისი პროდუქტიულობის გადიდების 1953 წლის გეგმების შესრულებისათვის ოლქის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების შესახებ. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 9 კაცმა, მათ შორის რაიონული კომიტეტის მდივნებმა ამხ. ი. რთველიაშვილმა (გორი), ამხ. ა. უთიაშვილმა (თელავი), ამხ. ზ. გელდიაშვილმა (ყაჩრეთი), ამხ. გ. ლუარსაბოვმა (ახალქალაქი), ამხ. ნ. ჯიბლაძემ (მარნეული), ამხ. გ. გოდერძიშვილმა (ახმეტა), ამხ. ნ. ქსოვრელმა (გარდაბანი), ამხ. დ. კაველიძემ (ადიგენი) და თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. ალავერდაშვილმა.

პლენუმმა განხილული საკითხების გამო მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

დოყლაპიობა

ფელეტონი

1949 წლის დასასრულს, ახალწლის წინადღეს, თბილისის ზოოპარკის დირექტორის კაბინეტის კარმა ოდნავ გაიჭრიალა. თავაზიანად შემოსულმა სტუმარმა მიიხედ-მოიხედა, ქუდი ხელში ორად მოკეცა და მოკრძალებით მიმართა:

— აბრამ ნიკოლაევიჩ! თქვენ მგონი გამოცდილი ბუხჰალტერი გჭირდებათ...

— დიახ, მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილი, — დირექტორი მხრებში შესწორდა, ზურგით სავარძელს მიეყრდნო და ჰკითხა: — რა გვარი ბრძანდებით?

— კეკელიძე!

— სახელი?

— პორფილე! — ამ პასუხის შემდეგ დირექტორი ჩაფიქრდა და კაბინეტში მსხდომ მეგობრებს გადახედა. გასაგები იყო, ყველანი გარეთ გავიდნენ.

სტუმარსა და მასპინძელს შორის საერთო ენა მოინახა. დიდხანს ილაპარაკეს...

მალე ზოოპარკის დირექტორის აბრამ თალარიშვილის წარდგინებას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილების გამგემ ზ. მუჩიაშვილმა გზა მისცა...

1950 წლის 9 მაისს პორფილე ლეონტის-ძე კეკელიძემ ქალაქის საბჭოს აღმასკომში შეავსო კადრების აღრიცხვის ფურცელი, რომელშიც მოკლედ, ქრონოლოგიურად ჩაწერა: 1936-1944 წლებში ვმუშაობდი დიღმის კოლმეურნეობის ბუხჰალტრად, 1944-45 წლებში მტს-ის ბუხჰალტრად, 1945-48 წლებში კვლავ დიღმის კოლმეურნეობის ბუხჰალტრად, ხოლო 1950 წლის პირველი იანვრიდან ზოოპარკის მთავარ ბუხჰალტრად. ანკეტაში კრინტიც არ არის დაძრული იმაზე, რომ გარეუბნის რაიონიდან ის კუდამოძუებული გაუშვეს...

საქმეში ჩაკერებულია 1950 წლის 9 მაისს დირექტორ ა. თალარიშვილის მიერ გაცემული დახასიათება, რომელშიც სიტყვასიტყვით წერია: „ეძლევა ესე პ. ლ. კეკელიძეს მასზედ, რომ ის 1950 წ. პირველ იანვრიდან მუშაობს თბილისის ზოოპარკში მთავარი ბუხჰალტრის თანამდებობაზე. აღნიშნული ამხანაგი კეთილსინდისიერად და პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას“. აბა, ამის შემდეგ ვის რაღა ეთქმოდა!

ქალაქის საბჭოს აღმასკომმაც 1950 წლის 17 აგვისტოს ხელაღებით დაადგინა: ზოოპარკის მთავარ ბუხჰალტრად დამტკიცდეს პ. ლ. კეკელიძე.

სანამ რვა თვის მანძილზე ანკეტების შევსების კორიანტელი დაცხრებოდა, ლაგამაწყვეტილი, განებივრებული კეკელიძე თავის ბნელ საქმეებს აჭახრაკებდა. 1950 წლის თებერვალშივე სახბანკის ორჯონიკიძის რაიონის განყოფილებიდან ვითომ „ცხოველების საკვების შესაძენად“ 7.500 მანეთი გამოიტანა და უგზო-უკვლოდ გაქრა.

— ეს ერთი და სხვა მრავალი!

ძველთაგანვე ნათქვამია: პურ-მარილის შენახვა ქვამაც კი იცისო. და, დირექტორს რკინის გული ხომ არა ჰქონდა... დარდმანდი კეკელიძე ზოოპარკის მშვენიერ ბაღში, მწვანე მოლზე მუდამ ტკბილ პურს ჭამდა, ახალი მეგობრები გაიჩინა, გარს ბუზებივით ეხვეოდნენ...

მადა ჭამაში მოდისო, ხშირად ამბობდა თვითონ პორფილეც. დაღვრემილ, უტყვ დათვს ლუკმა რომ ვეღარ გამოსტაცა, შემოსავლის ახალი წყაროს ძებნა დაიწყო. ზოოპარკში შესასვლელი ბილეთის საფასურს დასვა ტბილი.

— რა უნიჭო ხარ, ნუთუ ვერ მიმხვდარხარ რასაც გეუბნები!...

— კი მაგრამ... როგორ? — მელიას თვალებით ჰკითხა ბუხჰალტერს აღფრთოვანებულმა მოლარემ ნ. ხმალაძემ და სიხარულის ოფლი მოიწმინდა.

— რა გენაღვლება, ცხოველები კრინტს ვერ დაძრავენ, სხვა ხმას არ იღებს, თანხას მე ჩამოგაწერ...

— მაშ მხოლოდ მე და შენ ვიცოდეთ!

— შენც სუ, მეც სუ! — და მთავარმა ბუხჰალტერმა დოყლაპია დირექტორის თვალწინ, როგორც თითქოს სახელმწიფო ბანკში შეტანილი, მოლარეს სალაროდან 207.300 მანეთი ჩამოაწერა. ნამდვილად კი აღნიშნული თანხა ბანკს ახლოც არ გაჰკარებია, მას პორფილემ და მისმა ამფსონებმა მოუნახეს გზა.

სახელმწიფო თანხების გაფლანგვას კეკელიძე „პროგრესული“ გზით ეწეოდა. თუ 1950 წელს 82.000 მანეთი „შემოეხარჯა“, 1951 წელს ეს ციფრი 116.000 მანეთამდე აიყვანა, ხოლო 1952 წლის მარტო ცხრა თვეში 91.000 მანეთი გაანიავა.

დირექტორ „აბრამ ნიკოლაევიჩის“ დასტურით მარტო სახელმწიფო ბანკის ორჯონიკიძის რაიონული განყოფილებიდან სხვადასხვა ხარჯებისათვის გამოტანილია 82.500 მანეთი. ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის მიზნით „პორფილ ლეონტიევიჩი“ ბანკის ავიზოებში ახდენდა თავისებურ შესწორებებს და მითვისებულ თანხებს სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციებზე გადარიცხულად უჩვენებდა.

არ შეიძლება კაცმა არ გაიხსენოს ეპიზოდი, რომელიც ერთ დღეს ზოოპარკის ბაღში მოხდა. ზაფხულის პაპანაქება სიცხე იყო. ხეობიდან მონაბერი ნიავი პორფილეს გაღეღილ მკერდს უგრილებდა. ხეივანში ხალხი ფუსფუსებდა. ბუხჰალტერი გალიაში გამომწყვდეულ ხოხობს მგლის თვალებით შესცქეროდა. „თუმცა გამბდარხარ, მაგრამ შენც მალე ჩაგახრამუნებ“, — წაიღიღინა პორფილემ. ამ დროს დიღმელმა კოლმეურნემ წინ გაუარა, დაავკვირდა ბუხჰალტრის შეჭარხლებულ სახეს, იცნო და მეორეს წაულაპარაკა:

— ეგ ხომ ჩვენი კოლმეურნეობის ყოფილი ბუხჰალტერია! მაგაზე თქვეს ჩვენთანა: დიღმის მინდორი დიდია, გაქცევა შენზე ჰკიდიაო...

— ჰო, ძალიან მოასწრო გაქცევა, თორემ მაგის ადგილი ხომ იცი სად იყო.

— ვინ მიიღო ამ სამუშაოზე ეს გაქნილი კომბინატორი, რა ხეირს დააყრის აქაურობას, კაცო!..

— ვინც უნდა იყოს მაგის აქ მიმღები, იგი ან დოყლაპიაა, ან მაგ გაიძვერას ამხანაგი!..

სამართლიანი იყო კოლმეურნეთა გულისწყრომა. ასეთი მზრუნველობით როდი მიუდგნენ საკითხს „პორფილ ლეონტიევიჩის“ რეკომენდატორ — „გამფორმებლები“. მათ დაივიწყეს, რომ საჭიროა ყოველთვის და ყველგან ვიყოთ ფხიზელი, ფრთხილნი ამა თუ იმ სამუშაოზე ადამიანთა შერჩევაში, გულდასმით ვიკავდეთ საბჭოთა კანონებს, დაუსჯელს არ ვტოვებდეთ კანონის სულ მცირეოდენ დამრღვევსაც კი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილების გამგე ზ. მუჩიაშვილი ახლა ხელებს ასავსავებს და გაოცებით იძახის: ეს რა დაგვემართა, ეს რა მოხდა, კაცო!

კარგ ხასიათზე როდია „აბრამ ნიკოლაევიჩიც“.

გვიანდაა. ფაქტი ჯიუტია: ხელმძღვანელთა უდარდელობამ და დოყლაპიობამ ზოოპარკში ხვრელი აპოვნინა ბნელ პირებს, რომლებმაც სახელმწიფოს დიდი ზარალი მიაყენეს და მიიმალნენ.

საბჭოთა კანონი არა მარტო კეკელიძისთანა კომბინატორებს სჯის, არამედ აგრეთვე იმათაც, ვინც საერთოსახალხო საქმეს უდარდელად ეკიდება, ვინც დანაშაულს წინაშე თვალებს ხუჭავს და დოყლაპიობას იჩენს. ამაში ნურც „აბრამ ნიკოლაევიჩს“ და ნურც მის გულშემატკივარ მეგობრებს შეეპარებათ ეჭვი.

ქ. ჭინჭარაძე.

საკავშირო აღკკ ცენტრალურ კომიტეტში

1953 წელს პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების მომზადებისა და მოწყობის შესახებ

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება 1953 წელს პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების მომზადებასა და მოწყობაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია ის უდიდესი ზრუნვა, რასაც ყოველდღე იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ბავშვთა ჯანმრთელობისათვის. მარტო 1952 წლის ზაფხულში ჩვენს ქვეყანაში მუშაობდა 8 ათასზე მეტი ქალაქგარეთა ბანაკი, სადაც 2.800 ათასმა პიონერმა და მოსწავლემ დაისვენა. 8 მილიონზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა სამშობლო ქვეყანაში ლაშქრობასა და მოგზაურობაში. მილიონზე მეტი ბავშვი იყო ქალაქების პიონერთა ბანაკებში.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ბავშვების საზაფხულო დასვენების მოწყობა კომკავშირის დიდმნიშვნელოვანი საქმეა, და დაავალა ალკკ რაიონულ, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს სახალხო განათლების ორგანოებთან და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ 1953 წელს პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების დროზე მომზადება და წარმატებით განხორციელება.

დიდი ყურადღება ექცევა ბანაკებში პიონერულ მუშაკთა დროზე შერჩევას, ბავშვების შინაარსიანი, საინტერესო დასვენების ორგანიზაციას. კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ პიონერთა ბანაკების ქსელის მშენებლობისა და გაფართოების, იქ სასპორტო მოედნების, ბიბლიოთეკებისა და სხვ. შესაქმნელად.

ალკკ ცენტრალური კომიტეტი კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გააძლიერონ ყურადღება სოფელ ადგილების პიონერთა და მოსწავლეთა, აგრეთვე საბავშვო სახლების აღსაზრდელთა საზაფხულო დასვენებისადმი. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა გაჩაღდეს ზაფხულში პიონერთა სახლებისა და სასახლეების, საექსკურსიო-ტურისტული სადგურების, სტადიონების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო საქმიანობა, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას იმ ბავშვთა დასვენების კარგი პირობები, რომლებიც პიონერულ ბანაკებში არ გაემგზავრებიან. (საკ. დესი).

ხალხის რჩეული

ნიჭიერი პოეტი

ჭაბუკმა, რომელსაც ორად გაკეცილი ფურცელი ფაქიზად ეკავა ხელში, მორიდებით შეაღო საოლქო გაზეთის რედაქციის ერთ-ერთი ოთახის კარი.

სტუმარმა დამხვდურს ფურცელი გაუწოდა. უკანასკნელის ყურადღება მიიპყრო მკაფიო, ლამაზმა ნაწერმა.

— სტალინს!

ასე იყო დასათაურებული პატარა ლექსი.

რედაქციის მუშაკმა სწრაფად ჩაიკითხა სტრიქონები, მერე დაუფარავი აღტაცებით მიმართა ჭაბუკს:

— კარგი ლექსია. დაგიბეჭდავთ!

სამხრეთ ოსეთის საოლქო გაზეთის „კომუნისტის“ მკითხველებმა ღრმა ინტერესით და კმაყოფილებით მიიღეს მანამდე მათთვის უცნობი ავტორის ლექსი.

ეს იყო თხუთმეტიოდე წლის წინათ.

დაწყები ოსი პოეტი რევაზ ასაევი მაშინ თხუთმეტი წლის ჭაბუკი იყო. დიდი ადამიანის სიყვარულმა ათქმევინა მას გულწრფელი სიმღერა. პირველსავე ლექსში იგრძნობოდა შემოქმედად დაკვირვებული თვალი. ლაღად, მიმზიდველად ეღერდნენ ბედნიერებითა და სიხარულით შთაგონებული სტრიქონები.

რევაზ ასაევმა პრესაში ზედიზედ გამოქვეყნა რამდენიმე ლექსი. მაშინ ზოგიერთ ლექსში სჭარბობდა ნედლი, დაუმუშავებელი სტრიქონები. ახალგაზრდა შემოქმედის ნიჭი ცხოვრების ცოდნასთან შერწყმას მოითხოვდა, პოეტური ოსტატობის სრულყოფისათვის ბეჯითი, დაუზარელი შრომა იყო საჭირო.

დიდი სამამულო ომის წლები ფრონტზე, სამშობლოსათვის ბრძოლაში გააქარა რევაზ ასაევმა. ომის ქარცეცხლში იხვეწებოდა პოეტის ხმა. საბჭოთა ჯარისკაცების ფრონტული ცხოვრება, მათი უბადლო გმირობა, თავგანწირული პოეტი-მეომრის შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ იქცა.

სვეელ ჩანთით მოატარა ომის გზები რევაზ ასაევმა მრისხანე ბრძოლების დროს დაწერილი ლექსები... და როცა საბჭოთა ხალხმა მტერი შემუსრა, ახალგაზრდა პოეტი დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს და კვლავ წარსდგა თავისი მკითხველის წინაშე. 1948 წელს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა რევაზ ასაევის ფრონტული ლექსების წიგნი „მებრძოლის ალამი“. პირველი წიგნი აღტაცებით მიიღო მკითხველმა. ცხადი იყო, პოეტთან ერთად ვაჟკაცდებოდა მისი სიმღერაც. ფრონტული ცხოვრებიდან აღებული დამახასიათებელი დეტალები გულითადად, ოსტატობით გამოეკვეთა პოეტს.

რევაზ ასაევმა პოეტური გზის განვითარება გვიჩვენა შემდგომ წიგნებში: „გულის სიმღერა“, „საქართველოს ცის ქვეშ ვმღერი“, ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობისადმი მიძღვნილ ვრცელ პოემაში „სისხლის წვეთი“.

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ ახლახან ქართულად გამოსცა რევაზ ასაევის ლექსების კრებული. ამ წიგნით ქართველ მკითხველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მოწინავე ოს პოეტს. კრებულში წარმოდგენილია პოეტის მიერ უკანასკნელ ხანებში დაწერილი ლექსები. ქართულადაც ორიგინალურად ეღერს პოეტის ლაღი სტრიქონები. მათში ნაზი და თან ვაჟკაცური პოეტური ფერებით არის დახატული საბჭოთა ადამიანის შინაგანი აღტყინება, რომელსაც იწვევს სამშობლოს ახლანდელი ბედნიერებისა და უფრო დიადი მომავლის შეგნება.

მშვიდობისათვის ბრძოლის თემას წამყვანი ადგილი უკავია პოეტის შემოქმედებაში.

1951 წლის ბოლოს პოეტი საქართველოდან წასულ სხვა დელეგატებთან ერთად გაემგზავრა მოსკოვს მშვიდობის მომხრეთა მესამე საკავშირო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. ეს შესანიშნავი, დაუვიწყარი მოვლენა იყო პოეტის ცხოვრებაში. ამ ფაქტს გულთბილად უმღერა პოეტმა ლექსში „მგზნებარე გული“. ჩრდილოეთის ზამთარი. დეკემბერი. ყინავს, მაგრამ დედა-მოსკოვში ადამიანი არ გრძნობს სიცივეს, რადგან კრემლში სტალინია. მან მარადი გაზაფხული აჩუქა ადამიანის გულს. სტალინი მზეა, დაბადებული დედამიწაზე.

ომგადახდილი ადამიანისათვის განსაკუთრებით ძვირფასია კვლავ იხილოს ის ადგილები, სადაც იბრძოდა, სადაც იცავდა სამშობლოს ღირსებას. სიხარულით ტკბება გული, როცა ხედავ ჯარისკაცული შრომის შედეგს, ხედავ მშვიდობის ზეიმს. ეს სიხარული კარგად არის გადმოცემული ლექსში „ისევ ყუბანში“. აღტაცებით გასცქერის პოეტი ველებს, სადაც რამდენიმე წლის წინ მტარვალს მუსრავდა, რათა სამშობლოს ამ განუყოფელი და მშვენიერი კუთხისათვის აეცდინა საშინელება.

პოეტის მდიდარ შესაძლებლობაზე ლაპარაკობენ კრებულში წარმოდგენილი ლექსები: „ნაძვები წითელ მოედანზე“.

პოეტის კალამი ერთგულად ემსახურება მკითხველის იდეურ აღზრდას, ხატავს ჩვენი დღეების სიდიადეს.

ჯერ კიდევ წინა არჩევნების დროს ნიჭიერი პოეტი რევაზ ასაევი არჩეულ იქნა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატად. მან ამომრჩევლებისათვის ერთგული სამსახურით გაამართლა მაღალი ნდობა — უფრო მკაფიოდ, ხმამაღლა გაისმა პოეტის სიმღერა. რევაზ ასაევმა მშობლიური ლიტერატურა ბევრი კარგი ნაწარმოებით გაამდიდრა. მან ახლა დასაბეჭდად მოამზადა ლექსებისა და პოემების ახალი წიგნი „შრომა და მშვიდობა“. იგი ამ ახალ ლექსებშიც მხურვალე სიყვარულით უმღერის სამშობლოს, უმღერის მშვიდობას.

რევაზ ასაევი კვლავ დასახელებულია სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ხალხის ნდობა და სიყვარული პოეტს შემოქმედებითი წარმატებებისაკენ მოუწოდებს, იგი ავალებს მას შექმნას ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი ახალი ნაწარმოებნი.

ვ. გელაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



სურათზე: თელავის რაიონის თესლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის აგრონომი მ. შავკაცშვილი (მარცხნივ) და უფროსი ლაბორანტი ე. ლონიაშვილი ამოწმებენ საგაზაფხულო კულტურების თესლის ხარისხს.

ფოტო ვ. კვირკველიასი.

გურჯაანელი მევენახეები ზესაფუძნელებს ეჯიბრებიან

გურჯაანი. (საკ. კორ.). შედგა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების დირექტორების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირებისა და სპეციალისტთა თათბირი.

თათბირმა მოისმინა რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის ამხ. ვ. შავგულიძის მოხსენება: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „ვენახების მოვლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ განხორციელების მიმდინარეობა“.

მოხსენების შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ოსოშვილმა. მან კოლმეურნეთა სახელით იკისრა წელს 104 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძნის მოყვანა. ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჩიგილაშვილმა თათბირზე განაცხადა, რომ 114 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 120 ცენტნერ ყურძენს მიიღებენ.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. დავითაშვილმა, ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. გ. კაკალაშვილმა და სხვებმა.

თათბირზე ვენახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შესახებ ილაპარაკა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. დავითაშვილმა.

თათბირის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად ზესტაფონის რაიონის მევენახეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის შესახებ.

გურჯაანელმა მევენახეებმა ვალდებულება აიღეს საკოლმეურნეო ვენახებში საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 65 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა, საბჭოთა მეურნეობების ვენახებში — 70 ცენტნერი, გააშენონ 230 ჰექტარი ახალი ვენახები.

ხეხილის ძველი ჯიშების აღდგენა

ახალციხე. (საკ. კორ.). რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი აგრონომის ამხ. პ. ხითარიშვილის ინიციატივით დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მოწყობილია ხეხილის სანერგე მეურნეობა, რომელიც მიზნად ისახავს ხეხილის იმ ძველი ჯიშების აღდგენას და გამრავლებას, რომლებიც გავრცელებული იყო მესხეთში. დამყნობილია ადგილობრივი ჯიშები: აბილაური, შაქარნაბადა, რძე ვაშლი, კარამფილი, სობა, ქონა ვაშლი და რაკრაკა. მსხლის ჯიშებიდან — კაცისთავა, ბესხეთური გულაბი, თავრეჯული და სხვ.

ახალციხის, ადიგენის და ასპინძის რაიონებში გაიტანეს 10.000-მდე ძირი ხეხილის ნერგი.

საკოლმეურნეო მინდვრებზე და საკარმიდამო ნაკვეთებზე მასობრივად აშენებენ ხეხილის ძველ დიდმოსავლიან ჯიშებს.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სიმღერები სამშობლოზე

პოეტი შალვა ფორჩხიძე ახალგაზრდა მწერალთა თაობას ეკუთვნის. მისი პირველი ლექსები დიდი სამამულო ომის დამთავრების პერიოდში გამოქვეყნდა. შ. ფორჩხიძე თავის ლექსებში გვიხატავდა უმთავრესად სოციალისტურ სოფელს, მის ბუნებას, მის ადამიანებს, მაგრამ გვიხატავდა მათ თავისებური კუთხით, ორიგინალური პოეტური ფერებით.

შ. ფორჩხიძის ლექსებს პირველ ხანებში ხშირად ეჩხეოდა ერთგვარი იდილიური თვითდამშვიდების განწყობილება, გატაცება ძველი სოფლისათვის დამახასიათებელი, ეგზოტიკური სურათებით. ამის გამო თავის დროზე მკაცრად, მაგრამ სამართლიანად იყო გაკრიტიკებული პოეტის ლექსების პირველი წიგნი.

ახლახან „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა შ. ფორჩხიძის ლექსთა კრებული სათაურით „ჩემო ქვეყანავ“. პოეტი ახალი ლექსებით წარსდგა ფართო მკითხველი საზოგადოების წინაშე. ამ ლექსებში პოეტს ძირითადად უკვე დაუძლევია წინანდელი ნაკლოვანებანი და მნიშვნელოვნად წასულა წინ იდეური ზრდისა და მხატვრული დაოსტატების გზაზე.

სამშობლოს ცნება საბჭოთა ადამიანისათვის მჭიდროდ და განუყრელად დაკავშირებულია დიდ ბელადთან, ჩვენი სამშობლოს წინხელისა და გამარჯვების ორგანიზატორთან, კომუნიზმის დიდ ხუროთმოძღვართან, რომლის შესახებაც პოეტი ამბობს:

„ჯერ დედამიწას მისებრ ნათელი
შუქი არ ახსოვს დაუცხრომელი,
ესოდენ დიდი და საყვარელი —
იგი სიბრძნეა განუზომელი.

მან ძმურად ხელი ხალხს გაუწოდა,
ჩვენი ბედ-იღბლის გამომჩარხველი
და დიდ სიცოცხლეს ხალხმა უწოდა
ამიერიდან მისი სახელი“.

პოეტი თავის ლექსებში უმღერის ბელადის კერას, გორის მიწას, სადაც დაიბადა „კაცი — მზის სწორი“, უმღერის მოსკოვს, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს კაცობრიობის უდიდესი ადამიანი.

საქართველოსადმი მიძღვნილ ლექსებში ახალგაზრდა პოეტი ხაზს უსვამს, რომ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი აწმყო და მომავალი დამყარებულია მომძე ერთა მჭიდრო ერთიანობაზე, ძმურ სტალინურ მეგობრობაზე: „დღეს ჩვენი ქვეყნის წყალსა და მიწას თექვსმეტი მოძმის მარჯვენა იცავსო“, — შენიშნავს პოეტი და იქვე დასძენს, რომ ვერავინ შეძლებს განახორციელოს თავისი ბოროტი ზრახვები და გადაგვითელოს მშობლიური მიწა-წყალი.

ბელადისა და ხალხის ერთიანობის თემა ორიგინალურად არის გააზრებული ლექსში „საახალწლო“, რომელშიც მიმზიდველად დახატულია ახალი წლის ნათელი დილა, როდესაც ყოველ ოჯახში იგრძნობა ბელადის ღიმილის შემონათება ახალი წლისა და ბედნიერების მოლოცვად.

ლექსთა კრებულში „ჩემო ქვეყანავ“ ყოფილებიდან პოეტური გააზრებით და მხატვრული ოსტატობით ყურადღებას იპყრობენ აგრეთვე ლექსები: „ჭადრები ახალ ქუჩაზე“, „ჩუქურთმის ოსტატი“, „ჭადრის ხეები საძმო სასაფლაოზე“, „აი, მანგლისი...“ და სხვ.

შ. ფორჩხიძეს განსაკუთრებით ემარჯვება ბუნების წარმტაცი სურათების ხატვა. ამ მხრივ მისი ფერები უხვია და კოლორიტული. შ. ფორჩხიძის ლექსებში ბუნება ჩანს როგორც სიცოცხლის მჩქეფარების, სიხარულის გამოხატულება.

ამასთანავე წიგნი სავსებით თავისუფალი როდია ნაკლოვანებებისაგან. ზოგიერთ ლექსში სოციალისტური სოფლისათვის არადამახასიათებელ დეტალებს ვპოულობთ. არის აგრეთვე გაერთფეროვნების, საკუთარი თავის გამეორების საფრთხე. პოეტი უმთავრესად მხოლოდ სოფლის სურათებს ხატავს და ერთსა და იმავე თემას, ერთსა და იმავე განწყობილებას გადმოგვცემს.

ახალგაზრდა პოეტი უნდა ცდილობდეს ყოველთვის შეინარჩუნოს ორიგინალური სახე და იზრუნოს პოეტური კულტურის ამაღლებისათვის. შ. ფორჩხიძის ლექსებში განსაკუთრებით საგრძნობია ერთგვარი გულგრილი დამოკიდებულება ლექსის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტისადმი — რითმისადმი. შ. ფორჩხიძე არ ერიდება რითმებად იხმაროს ისეთი სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ხმოვანებით ემსგავსებიან ერთმანეთს (ზვირთებს — ადიდდეს, ჩამორჩა — აჯობა და სხვ.), ორმარცვლიანი სიტყვა შეურითმოს სამმარცვლიანს (თვალი — შემთვრალი, ქერა — სიმღერა, ქალი — მაყვალი, წყარო — დააყაროს, მდინარეს — მთვარე და სხვ.), გარითმოს ზმნა ზმნასთან, ზედსართავი ზედსართავთან და ა. შ. (მაგალითად: მახარობელი — საგალობელი, გაკვირვებული — გაკიდებული, აქაფებული — ამღღლებული, ჩამდგარან — დამსკდარან და სხვ.).

ზოგჯერ პოეტის ლექსებში ვხვდებით აგრეთვე ბუნდოვან გამოთქმებს. მაგალითად, ერთგან პოეტი ამბობს: „როგორ ამოსჭრეს და აიქარგნენ ირგვლივ სახლები ქვის ჩუქურთმებით“. ცხადია, აქ ზმნა „ამოსჭრეს“, „ჩუქურთმებს“ ეკუთვნის, „აიქარგნენ“ კი — „სახლებს“, მაგრამ წინადადება ისეა აგებული, თითქოს სახლების ამოჭრაზე იყოს ლაპარაკი. ენობრივადაც და პოეტურადაც უვარგისია გამოთქმა: „სიყვარული მეც გულზე მაწევს“ ან კიდევ: „ვხედავ, ჭიკჭიკებს მერცხალი ბანზე დიდი სიცოცხლის საგალობელით“. „საგალობელით ჭიკჭიკი“ წარმოუდგენელია, პოეტს ალბათ სხვა რამის თქმა სურდა. აღნიშნულ ნაკლოვანებათა დაძლევა ახალგაზრდა პოეტის გადაუდებელი ამოცანაა.

ახალგაზრდა პოეტმა განუწყვეტლივ უნდა იზრუნოს იდეური ზრდისა და მხატვრული ოსტატობის სრულყოფისათვის.

ზ. ჯუმბურიძე.

„კიკვიძე“ რუსულ სცენაზე

თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი ამთავრებს მუშაობას ვ. დარასელის პიესაზე „კიკვიძე“.

სპექტაკლს დგამს რეჟისორი მ. ოლშანიცკაია, აფორმებს მხატვარი ე. დონცოვა, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ო. ბარამშვილმა.

კიკვიძის როლს ასრულებს მსახიობი ი. რუსანოვი. პრემიერა გათვალისწინებულია 25 თებერვლისათვის.

ერთი ფაბრიკის ხუთწლედი

პარტიის XIX ყრილობამ განსაზღვრა ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარების ამოცანები.

მძიმე ინდუსტრიის სწრაფ განვითარებასთან ერთად ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მსუბუქი მრეწველობის შემდგომ განვითარებას.

მეხუთე ხუთწლედში საქართველოს მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება წინა ხუთწლედთან შედარებით 58,6 პროცენტით გაიზრდება. ერთიორად გადიდდება აბრეშუმის ქსოვილების წარმოება, საგრძნობლად იმატებს შალის ქსოვილების გამოშვებაც.

1951 წელს — მეხუთე ხუთწლედის პირველ წელს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 68 მილიონი მანეთის პროდუქცია. წარმატებით შესრულდა 1952 წლის გეგმაც. იმ საწარმოთა შორის, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა და სამშობლოს გადამეტებით მისცეს პროდუქცია, არის თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა.

ახალ ხუთწლედში საქართველოში გათვალისწინებულია შალის ქსოვილების გამოშვების მნიშვნელოვნად გადიდება, როგორც მეტრაჟის, ისე ასორტიმენტის მიხედვით. ამ ამოცანის შესრულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივს.

ნედლეულის გზა

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში ნედლეულმა რთული გზა უნდა განვლოს, სანამ მზა ქსოვილად იქცეოდეს. მთავარი და ძირითადი ნედლეული აქ მატყლია.

მატყლის მიღება ხდება გამრეცხავ-დამხარისხებელ ხაკმრეში, რომელიც აღჭურვილია გაუმჯობესებული სისტემის მაღალი წარმადობის მანქანა-დანადგარებით. ამ საამქროს პროდუქცია — გარეცხილი, გამშრალი და დახარისხებული მატყლი მთლიანად უზრუნველყოფს ფაბრიკის მოთხოვნილებას.

აქედან მატყლი მიაქვთ სართავ კამვოლურ საამქროში, რომელიც რამდენიმე განყოფილებისაგან — მატყლსარევი, საჩეჩი, საფთილავი, სართავი, საგრეხი, საძახავი, ძაფსახვევი განყოფილებებისაგან შედგება. ამ განყოფილებებში მრავალნაირი მოწყობილობა და სხვადასხვა დანიშნულების ბევრი მანქანაა. ყველა დანადგარსა და მანქანაზე სხვადასხვა პროცესის შესრულების შემდეგ საქსოვად გამზადებული კამვოლური ნართი.

აქვეა სამაუდე სართავი საამქრო, სადაც აგრეთვე ხდება ნედლეულის გადამუშავება სამაუდე ნართად.

სამაუდე სართავ საამქროში არის მოსამზადებელი განყოფილება, სადაც ხდება წარმოების ნარჩენების გადამუშავება წარმოებაში კვლავ გამოსაყენებლად. ამ საამქროში აგრეთვე მოწყობილია საფთილე და სართავი განყოფილებები.

საქსოვი საამქრო შედგება მოსამზადებელი და საქსოვი განყოფილებებისაგან. მოსამზადებელ განყოფილებაში მზადდება ქსელი, ხოლო საქსოვ განყოფილებაში ხდება ყველა არტიკულის ხამი ქსოვილის დამზადება.

ხამ ქსოვილს სჭირდება შემდგომი გადამუშავება. საამისოდ არსებობს სამღებრო-გამოსაყვანი საამქრო, რომელთანაც მოწყობილია სველი, სამღებრო და მშრალი განყოფილებები.

ფაბრიკასთან არსებობს მთავარი მექანიკოსის განყოფილება. ამ განყოფილებაში მუშაობენ სპეციალისტი მექანიკოსები, საფეიქრო ტექნიკის საუკეთესო მცოდნენი, რომელთა ამოცანა ის არის, რომ თვალყური ადევნონ ფაბრიკაში მანქანა-დანადგართა გამართულობას, არ დაუშვან გაცდენა ტექნიკური მიზეზებით.

ზრდის მაჩვენებლები

1940 წელს ფაბრიკამ გამოუშვა 9 სხვადასხვა სახის, ანუ, როგორც ფეიქრები იტყვიან, არტიკულის 1.402 ათასი მეტრი ქსოვილი. იმავე მანქანა-დანადგარებით იმავე ფაბრიკაში და იმავე ფეიქრებმა 1951 წელს მოქსოვეს და გამოუშვეს 2.320 ათასი მეტრი ქსოვილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქციის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა ასორტიმენტი და ამაღლდა ხარისხი.

ომისშემდგომ წლებში ფაბრიკაში აითვისეს მაღალხარისხოვანი ახალი სახის საკოსტიუმე ქსოვილების „კოლხიდისა“ და „რუსთავის“ გამოშვება. ორივე ეს ქსოვილი მზადდება წმინდა მატყლისაგან. აითვისეს აგრეთვე წმინდა მატყლის სხვადასხვა ხარისხის საპალტო ქსოვილების — დრაფების ქსოვა.

1951 წელს ფაბრიკაში აითვისეს ხელოვნური ბოჭკოს გამოყენება ნახევრადუხეშ და წმინდა მატყლთან შეზავებით. ასეთი ნაზავისაგან იქსოვება სხვადასხვა სახის საგაზაფხულო და საშემოდგომო შალეული, საკოსტიუმე და საპალტოე ქსოვილები. ხელოვნური ბოჭკოს გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა მატყლის ხარჯი, გამოიწვია ქსოვილის მოხმარებითი თვისებების ამაღლება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და თითქმის გაანახევრა გასაცემი ფასი.

ფაბრიკაში განუხრელად მატულობს მაღალი ხარისხის ქსოვილების გამოშვება. მაგალითად, თუ 1940 წელს ფაბრიკის მიერ გამოშვებულ ქსოვილებში პირველი ხარისხის ქსოვილი 65,5 პროცენტს უდრიდა, ომისშემდგომი — სტალინური ხუთწლედის ბოლოს — 1950 წელს პირველხარისხოვანი ქსოვილები საერთო რაოდენობის 87,9 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1952 წელს — 90 პროცენტს. მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის სადღეღამისო გამომუშავების ტემპი. მაგალითად, თუ 1940 წელს ფაბრიკამ დღეღამეში 4.672 მეტრი ქსოვილი გამოუშვა და 1951 წელს — 7.891 მეტრი, 1952 წელს ფაბრიკამ უკვე 8.236 მეტრი ქსოვილი გამოუშვა.

ფაბრიკის კოლექტივმა ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში დიდ შედეგებს მიაღწია. 1951 წელს ფაბრიკაში 95 ტონა მატყლი და ნართი დაზოგეს. 1952 წელს მარტო საქსოვმა საამქრომ ქსოვის ყველა ტექნოლოგიური პროცესის ზუსტად დაცვის შედეგად დაზოგა 27 ტონა ნართი. გასულ წელს ფაბრიკის კოლექტივმა დაზოგილი მატყლის ნამზადისა და ნართისაგან საშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 69 ათასი მეტრი ქსოვილი.

ფაბრიკის კოლექტივის ერთსულოვან ბრძოლას ახალი წარმატებების მისაღწევად მოწმობს შემდეგი ფაქტები: ფაბრიკაში 782 სტახანოველი და დამკვრელია. 73 კაცს მინიჭებული აქვს საპატიო სოციალისტური „შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლაში მიღწეული შედეგებისათვის“.

კამვოლურ საამქროს ხუთჯერ მიენიჭა „საუკეთესო ხარისხისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების საამქროს“ სახელწოდება — საკავშირო შეჯიბრებაში მიღწეული შედეგების მიხედვით.

„საუკეთესო ხარისხისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების ბრიგადის“ სახელწოდების მოსაპოვებლად იბრძვის 100 ბრიგადა, რომლებშიც შედის 712 მუშა.

უკანასკნელი 5,5 წლის განმავლობაში განხორციელებულია 250-ზე მეტი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შრომის ნაყოფიერებისა და მოწყობილობის წარმადობის გასაადიდებლად, ნედლეულისა და მასალების ხარჯვაში ეკონომიის მისაღწევად.

ფაბრიკის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა 1946 წელს შეიტანეს 37 წინადადება, რომელთაგან დაინერგა 8. მათ ფაბრიკას მისცეს 337 ათასი მანეთი ეკონომია; 1946-1950 წლებში შეიტანეს 316 წინადადება, რომელთაგან დაინერგა 112, ეკონომია შეადგენდა 2.884 ათას მანეთს; 1951 წელს — 118 წინადადება, დაინერგა 52, ეკონომია — 587 ათასი მანეთი; 1952 წელს დაინერგა 81. მიღებული ეკონომია 1.079 ათას მანეთს შეადგენს.

წარმატებათა შემოქმედნი

ეს მიღწევები ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების თავდადებული, შემოქმედებითი შრომის შედეგია. ფაბრიკაში ბევრია წარმოების ნოვატორი, ცნობილი სტახანოველები, რომლებმაც ახლის, მოწინავის, შრომის უფრო მაღალნაყოფიერი ხერხების ძიებაში დაამსხვრიეს ძველი ნორმები, გაუსწრეს დროს. მრთველი ვ. ჯოხაძე და მქსოველი მ. კოლოდა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას იძლევიან, ამასთან საწარმოო გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. შარშან მათი ინიციატივით ფაბრიკაში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ყველა საწარმოო ოპერაციის მაღალხარისხოვნად შესრულებისა და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების უზრუნველსაყოფად. მათ ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა არა მარტო ადგილობრივ, არამედ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოებშიც. მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს მქსოველებმა ნ. პონომარენკომ და თ. მოსიძემ, მრთველებმა მ. სტოიანოვამ, ვ. ლოქეჩნიკოვამ და ლ. კრასნოვამ, რომლებიც მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას ამზადებენ, ნედლეულისა და დამხმარე მასალების დაზოგვით დიდ ეკონომიას აძლევენ სამშობლოს. ფაბრიკის მუშების დიდი უმეტესობა გადაჭარბებით ასრულებს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო დავალებას.

1955 წლის გოლოსთვის

1955 წლის ბოლოსათვის, ე. ი. მეხუთე სტალინური ხუთწლედის დასასრულისათვის, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა უფრო მძლავრ, სრულყოფილი ტექნიკით აღჭურვილ საწარმოდ წარმოგვიდგება.

1955 წელს ფაბრიკამ უნდა მოგვცეს 2.650 ათასი მეტრი სხვადასხვა სახელწოდების ძვირფასი კამვოლური და მაუდის ქსოვილები. ძირითადად გაიზრდება მაუდის ქსოვილების გამოშვება. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის დაწყებულია ფაბრიკის რეკონსტრუქცია. წელს უნდა დამთავრდეს მაუდის სართავი ე. წ. პერიოდულად მოქმედი მანქანებისა და წმინდა მაუდის საქსოვი ავტომატურად მოქმედი დაზგების დადგმა. ძირითადად ფაბრიკის სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლოსთვის უნდა დამთავრდეს.

რეკონსტრუქციის შემდეგ მაღალი ნომრის სამაუდე ნართის გამოშვების საფუძველზე გათვალისწინებულია წმინდა სახის მაუდის ქსოვილების გამოშვება, როგორც საპალტოედ, ისე საკოსტიუმედ.

ფაბრიკის საუკეთესო სპეციალისტების მთელი ჯგუფი მუშაობს თანამედროვე გემოვნების შესაფერისი ახალი, მოდური ქსოვილების ათვისებაზე.

მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებაა დაგეგმილი ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, წარმოების კულტურის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად, ქსოვილთა ასორტიმენტის გასაფართოებლად.

ხუთწლედის ბოლოსათვის საგრძნობლად გადიდდება მუშათა ხელფასი, შრომის ნაყოფიერება, ამაღლდება პროდუქციის ხარისხი, გაფართოვდება ფაბრიკის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების დასასვენებელი სახლების ქსელი, აშენდება ახალი საცხოვრებელი სახლები... ყველა პირობა შეიქმნება მუშათა შრომის ნაყოფიერების შემდგომი სწრაფი ზრდისათვის, რათა იმატოს სახალხო დოვლათმა და ამ დოვლათის ფონდში საქართველოს ფეიქართა მოწინავე რაზმის — თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივის მიერ შეტანილმა წვლილმა.

ზ. ჯამასპიშვილი.

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების გამარჯვების მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი. (საკდესი). 8 თებერვალს „მანჰეტენ-პლასის“ დიდ დარბაზში გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიის მიერ სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების მეათე წლისთავს. მიტინგი მოაწყო ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს დირექტორმა მორფორდმა, რომელმაც მოგონა დამსწრეთ, რომ, 1943 წლიდან მოკიდებული, ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული ადამიანები ყოველ წელს აღნიშნავენ საბჭოთა არმიის გმირულ გამარჯვებას სტალინგრადთან, გამარჯვებას, რომელიც გარდატეხის მომენტი გახდა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში.

სტალინგრადთან ისტორიული ბრძოლის შესახებ მოხსენების შემდეგ მიტინგზე გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული მოძრაობის ცნობილი მონაწილე და მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი ჰარი უორდი, ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის აქტიური მონაწილე მღვდელი უილიამ ჰოვარდ მელიში და სხვები. ორატორებმა მოუწოდეს დამსწრეთ განამტკიცონ მეგობრობა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს შორის.

მიტინგის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატს პოლ რობსონს.

მიტინგზე წაიკითხეს შემდეგი დეპეშა, რომელიც ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნულმა საბჭომ გაუგზავნა სტალინგრადის მცხოვრებლებს:

„სსრ კავშირი. ქალაქ სტალინგრადის პატივცემულ მერს. ათი წლის წინათ სტალინგრადის სესხლით შეღებილ ნაპირებზე და ქუჩებში საბჭოთა კავშირის არმიამ და ხალხმა გაანადგურეს ნაცისტთა ჯარები და შეცვალეს მეორე მსოფლიო ომის მსვლელობა, რითაც უზრუნველყვეს ჩვენი საერთო გამარჯვება. ჩვენ მუდამ გვახსოვს უდიდესი მსხვერპლი, რომელიც საბჭოთა ხალხმა გაიღო გამარჯვების მიღწევისა და მშვიდობის დამყარებისათვის. ჩვენ სიხარულით მივესალმებით სტალინგრადს მისი აღდგენისა და ომისშემდგომი განვითარების გამო. 8 თებერვალს ჩვენ გადავწყვიტეთ შევკრებილიყავით სტალინგრადისადმი მიძღვნილ მიტინგზე. ამასთან დაკავშირებით ნიუ-იორკის მცხოვრებნი ერთხელ კიდევ დადასტურებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან საბჭოთა კავშირთან მეგობრობის საქმე და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმე.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭო“.

მიტინგზე წაიკითხეს აგრეთვე სტალინგრადიდან მიღებული შემდეგი დეპეშა:

„ნიუ-იორკი. ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს დოქტორ ჯონ ა. კინგსბერის.

სტალინგრადის მშრომელთა სახელით მინდა გულითადი მადლობა მოვახსენო ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნულ საბჭოს სტალინგრადის დიდი ბრძოლის ძლევამოსილად დამთავრების მე-10 წლისთავის გამო მისალმებისათვის. ჩვენი მგირი ქალაქი, რომელიც გადაიტანა ომის მრისხანე გამოცდილება, სწრაფად დგება ნანგრევებიდან და ფერფლიდან, როგორც საბჭოთა ხალხის მშვიდობისმოყვარული შემოქმედებითი ღონისძიებების სიმბოლო. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენ, სტალინგრადის მცხოვრებნი, რომლებმაც კოლოსალური ნგრევა და უბედურება განვიცადეთ ომის გამო, ყველაფერს ვაკეთებთ, რაც კი ძალგვიძს, რათა შევინარჩუნოთ მშვიდობა და განვამტკიცოთ მეგობრობა ქვეყნებს შორის. ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს მეშვეობით ჩვენ მივესალმებით ამერიკის შეერთებული შტატების მთელ პროგრესულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობისათვის, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ.

სტალინგრადის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. შაპოროვი“.

მოისმინეს რა ამ დეპეშის ტექსტი, მიტინგის დამსწრენი დიდხანს უკრავდნენ ტაშს საბჭოთა კავშირისა და მგირი ქალაქის მცხოვრებთა პატივსაცემად.

მიტინგის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელზეც გამოვიდა პოლ რობსონი.

ДАМТАВРДА ДЕМОКРАТИУЛИ АХАЛГАЗРДОБИС МСОФЛИО ФЕДЕРАЦИИС САБЧОС СЕСИА

პრაღა, 9 თებერვალი. (საკდესი). დღეს პრაღაში მუშაობა დაამთავრა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს სესიამ.

საბოლოო სხდომაზე საბჭომ განიხილა იმ ორგანიზაციების განცხადებანი, რომლებმაც მიმართეს თხოვნით დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციაში მათი მიღების შესახებ. ერთსულოვნად მოწონებულ იქნა გადაწყვეტილება დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციაში 13 ქვეყნის, მათ შორის ავსტრიის, ბელგიის, ბირმის, ინდოეთის, ისლანდიის, ირანის, ერაყის, ნეპალის, ნიკარაგუასა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდობისა და სტუდენტთა 17 ახალი ორგანიზაციის მიღების შესახებ. ახლად მიღებულ ორგანიზაციებთან ერთად ახლა ფედერაციაში შედიან მსოფლიოს 88 ქვეყნის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ორგანიზაციები.

საბჭომ გადაწყვიტა აგრეთვე ზოგიერთი საორგანიზაციო საკითხი. საბჭომ აირჩია დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები — სსრ კავშირის ახალგაზრდობისაგან — ა. შელეპინი და ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობისაგან — ლადისლავ ლისი. ფედერაციის მდივნებად არჩეული არიან ინგლისის ახალგაზრდობის წარმომადგენელი მ. ნიკსონი და ირანის ახალგაზრდობის წარმომადგენელი ა. ნამაზი.

საბჭოს სესიის განსახილველად წარმოადგინეს სათანადო კომისიებში მომზადებული რეზოლუციათა პროექტები განხილულ საკითხებზე. საბჭოს ყველა დოკუმენტი მიღებულ იქნა ერთხმად.

საბჭომ გადაწყვიტა მოიწვიოს 1953 წლის 25 ივლისს ახალგაზრდობის მორიგი, მესამე მსოფლიო კონგრესი. კონგრესის განსახილველად საბჭომ დასვა შემდეგი საკითხები:

1. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობა ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესის დროიდან და ახალგაზრდობის ამოცანები მშვიდობისა და თავისი უფლებებისათვის ბრძოლაში.

2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საბჭომ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის წევრ ორგანიზაციებს, ახალგაზრდობის ყველა საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ გაერთიანებას, რომელსაც სურს ითანამშრომლოს ფედერაციასთან მშვიდობისა და ახალგაზრდა თაობის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლის საკითხში, ყველა ქალაშვილსა და ჰაბუკს, განურჩევლად მათი პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა და სოციალური მდგომარეობისა, მიმართა მიწოდებით აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო კონგრესისა და ახალგაზრდათა და სტუდენტთა მშვიდობისა და მეგობრობის მეოთხე მსოფლიო ფესტივალის მომზადებასა და მოწყობაში. საბჭომ დაავალა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომსა და სამდივნოს ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესისა და ახალგაზრდათა და სტუდენტთა ფესტივალების მოწყობის გამოცდილების გათვალისწინებით შეიმუშაონ და განახორციელონ კონგრესისა და ფესტივალის მომზადების პრაქტიკული ღონისძიებანი, გაიაღონ აქტიური საქმიანობა ახალგაზრდობის ერთიანობის განმტკიცებისათვის.

საბჭო რჩევას იძლევა მოეწყოს ახალგაზრდობის ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი კონგრესები და კონფერენციები, კრებები ახალგაზრდობის ადგილობრივ ორგანიზაციებში იმ მიზნით, რომ განიხილონ კონგრესისათვის მზადების საკითხები, აირჩიონ კონგრესის დელეგატები და შეიმუშაონ მათთვის განაწესები; მოეწყოს ახალგაზრდობის ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალები; შეექმნას ფესტივალის საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული კომიტეტები, ფართოდ გაშუქდეს ახალგაზრდობაში კონგრესისა და ფესტივალის მიზნები და ამოცანები; საჭირო დახმარება გაეწიოს ეროვნულ ორგანიზაციებს ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათათვის მზადებაში.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭომ მოიწონა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწოდება და კონგრესის მიმართვა ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისადმი და მოუწოდა ახალგაზრდობის ორგანიზაციებს მხარი დაუჭირონ კონგრესის ამ დოკუმენტებს.

მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი მიმართვაში საბჭომ გამოთქვა რწმენა, რომ ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო კონგრესი და ახალგაზრდათა და სტუდენტთა მეოთხე მსოფლიო ფესტივალი ეფექტიანად შეუწყობენ ხელს ახალგაზრდობის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, აგრეთვე იმას, რომ ახალგაზრდობის ფართო მასებმა უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშვიდობისათვის ბრძოლაში.

შეაჯამა რა საბჭოს სესიის შედეგები, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ეაკ დენიმ აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის ფართო ფენების შემდგომ დარაზმვაში მშვიდობისა და თავიანთი უფლებებისათვის საბრძოლველად. ეაკ დენიმ რწმენა გამოთქვა, რომ ახალგაზრდობის მესამე მსოფლიო კონგრესისა და ახალგაზრდათა და სტუდენტთა მშვიდობისა და მეგობრობის მეოთხე მსოფლიო ფესტივალის მომზადება და მოწყობა მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის ახალი წვლილი იქნება ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ახალგაზრდობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის საქმეში.

ეაკ დენი დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს სესიას დახურულად აცხადებს.

დელეგატები და დამსწრე სტუმრები ასრულებენ დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს.

ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირსა, ფინეთსა და ნორვეგიას შორის

ჰელსინკი, 9 თებერვალი. (საკდესი). 7 თებერვალს ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოაწერეს ოქმს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა, ფინეთის რესპუბლიკის მთავრობასა და ნორვეგიის სამეფოს მთავრობას შორის საბჭოთა კავშირის, ფინეთისა და ნორვეგიის სახელმწიფო საზღვრების შესაყარზე დადგმული „მუოტკაკაარას“ („კროკფიელეტი“ — ნორვეგიული სახელწოდება. — რედ.) სასაზღვრო ნიშნის მოვლის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მხრიდან ოქმს ხელი მოაწერა სსრ კავშირის დესპანმა ფინეთში ვ. ზ. ლებედევმა, ფინეთის მხრიდან — საგარეო საქმეთა მეორე მინისტრმა რ. ტერნგრენმა და ნორვეგიის მხრიდან — ნორვეგიის დესპანმა ფინეთში ტ. ლ. სეიპელმა.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 9 თებერვალი. (სკკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 9 თებერვალს გამოაცხადა:

გასული დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან თანამოქმედებით განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს.

გუშინ ღამით ამერიკის „B-29“ ბომბდამშენებმა კვლავ ბარბაროსულად დაბომბეს ფხენიანის დიადბარელნის რაიონი, რომელსაც არავითარი სამხედრო ობიექტი არა აქვს. თავდასხმის შედეგად მოსახლეობაში არის დიდი მსხვერპლი, დაინგრა ბევრი საცხოვრებელი სახლი და მიწური.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის ექვსი და დააზიანეს შვიდი თვითმფრინავი.

კორეის სახალხო არმიის გენერლების, ოფიცრებისა და ჯარისკაცების დაჯილდოება ორდენებით

ფხენიანი, 8 თებერვალი. (საკდესი). დღეს კორეის. გაზეთებმა გამოაქვეყნეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება კორეის სახალხო არმიის მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ორდენებით გენერლების დაჯილდოების შესახებ.

კორეის სახალხო არმიის ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებისათვის, ჯარების უნარიანი სარდლობისათვის, რის შედეგადაც მტერს გამანადგურებელი დარტყმები მიაყენეს, აგრეთვე ამერიკელი ინტერვენტებისა და მათი ლისინმანელი ლაქიების წინააღმდეგ, სამშობლოს ერთიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის კორეელი ხალხის სამართლიან განმათავისუფლებელ სამამულო ომში საბრძოლო გმირობის გამოჩენისათვის პირველი ხარისხის სახელმწიფო დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი ვიცე-მარშალი ცოი ენ გენი, გენერლები კიმ კვან ხეი და ნამ ირი. პირველი ხარისხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ორდენით დაჯილდოებულია 17 კაცი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის მეორე ბრძანებულებით განმათავისუფლებელ სამამულო ომში მამაცობისა და ვმირობის გამოჩენისათვის სახელმწიფო დროშის ორდენით და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ორდენით დაჯილდოებულია კორეის სახალხო არმიის 15 გენერალი და 32 ოფიცერი და ჯარისკაცი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ამერიკელი ინტერვენტებისა და ლი სინ მანის ხროვის წინააღმდეგ.

მესამე ბრძანებულებით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის წოდება მიენიჭათ გენერალ ლი ხენ სანს, ოფიცერთა და ჯარისკაცთა ჯგუფს, რომლებსაც ამასთანავე გადაეცემათ ოქროს ვარსკვლავი და პირველი ხარისხის სახელმწიფო დროშის ორდენი.

საზარბაზნე ხორცის ფასი

კარაჩი, 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთ „იმროზის“ კორესპონდენტი ბანგკოკიდან იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ტაილანდისა და ფილიპინების მთავრობებს მოსთხოვა აანაზღაურონ კორეაში ტაილანდისა და ფილიპინების ჯარების „შენახვისათვის“ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაწეული ხარჯი. ეს ხარჯი, ამერიკის მთავრობის მტკიცებით, ტაილანდისათვის უდრის 7,5 მილიონ ამერიკულ დოლარს და ფილიპინებისათვის — 9 მილიონ ამერიკულ დოლარს.

ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ტაილანდის პრემიერ-მინისტრ პიბუსონგრამისა და ფილიპინების პრეზიდენტ კირინოსათვის გაგზავნილ მოთხოვნაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათ შეუძლიათ აუნაზღაურონ ეს ხარჯი ამერიკის შეერთებულ შტატებს იმით, თუ თვითეული ეს ქვეყანა კორეაში გაგზავნის თავისი ჯარების დამატებითს კონტინგენტს სულ ცოტა 15 ათასი კაცის რაოდენობით.

ფრანგი მშრომელები აღნიშნავენ 1934 წლის ფაშისტური ამბოხების განადგურების წლისთავს

პარიზი, 9 თებერვალი. (საკდესი). მიუხედავად ხელისუფალთა აკრძალვისა, გუშინ მთელ რიგ ქალაქებში ფრანგმა პატრიოტებმა აღნიშნეს მშრომელთა მძლავრი ანტიფაშისტური დემონსტრაციისა და საყოველთაო გაფიცვის მე-19 წლისთავი. 1934 წლის თებერვლის იმ სამახსოვრო დღეებში მშრომელებმა ფრანგ ფაშისტებს გზა გადაუღობეს ხელისუფლებისაკენ.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, მშრომელთა კრებები და მიტინგები გაიმართა ბრესტში, ნანტში, ლორიანში, ლა-როშელში, პერიგსა და სხვა ქალაქებში. ქალაქ კლერმონ-ფერანის მშრომელებმა მიაწყეს დემონსტრაცია, რომელიც მიეძღვნა ფაშისტ შეთქმულებზე ფრანგი ხალხის გამარჯვების სახელოვან წლისთავს.

კრებების, მიტინგებისა და დემონსტრაციების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუციები, რომლებშიც მოუწოდებენ ყველა ფრანგ პატრიოტს გამოვიდნენ, როგორც 1934 წელს, სახელმწიფოს დასაცავად ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ, საპყრობილიდან ალენ ლე ლეპპისა და მშვიდობისათვის სხვა მებრძოლთა გასათავისუფლებლად, კომუნისტ დეპუტატთა უკანონო დევნის აღსაკვეთად.

მთელ რიგ ადგილებში, როგორც, მაგალითად, სენტ-ეტიენი, მიღებულ იქნა რეზოლუციები, რომლებიც მოითხოვენ საფრანგეთის ახლანდელი მთავრობის შემადგენლობიდან პეტენელი მინისტრის ბუტემის გამოყვანას, რომელიც ჰიტლერული ოკუპაციის დროს მონაწილეობას იღებდა ფრანგ პატრიოტთა დევნაში.

იაპონიის კაპიტალი გზას იკაფავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში

შანხაი, 8 თებერვალი. (საკდესი). როგორც ტოკიოდან მიღებული ცნობები ცხადყოფს, იაპონიის კაპიტალი ამერიკული მონოპოლიების მხარდაჭერით დაყენებით იკაფავს გზას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. 4 თებერვალს კიოტო ცუსინის საგენტომ გადასცა, რომ იაპონიის მთავრობა ადგენს ამ ქვეყნების მინერალებისა და ტყის რესურსების ექსპლოატაციის ფართო გეგმებს. საგენტო იუწყება, რომ 3 თებერვალს ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ოგასავარამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ იაპონია აპირებს მონაწილეობა მიიღოს გოასა და მალაიაში რკინის მადნების საბადოების დამუშავებაში, ფილიპინებზე რკინისა და სპილენძის მადნების, ბირმაში ნავთობის საბადოებისა და კუნძულ ბინტანზე (მალაკის ნახევარკუნძულის მახლობლად) ბოქსიტების დამუშავებაში. გარდა ამისა, ოგასავარას სიტყვით, იგეგმება იაპონიის კაპიტალის მონაწილეობა ამ ქვეყნების კაუჩუკის, შაქრის, ქერქელისა და სხვ. წარმოებაში.

ამ გეგმების პრაქტიკულად განხორციელებისათვის მარტში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში მიემგზავრებიან იაპონიის ეკონომიკური მისიები. იუწყებიან, რომ პირველი მისია გაემგზავრება ინდონეზიაში და ფილიპინებზე; მეორე — მალაიაში, ბირმასა და ტაილანდში და მესამე — ინდოეთსა და პაკისტანში.

იაპონიის მთავრობა თავის მხრივ ყოველგვარ დახმარებას უწევს იაპონური საქონლის შეღწევას მსოფლიო ბაზრებზე და, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბაზრებზე. როგორც ამას წინათ ტოკიოს რადიომ განაცხადა, იაპონიის სახელმწიფო ბანკის დირექტორთა საბჭო ემზადება გამოაცხადოს ამ სესხების პროცენტების შემცირება, ანალოგიურ საგარეო ვაჭრობის ოპერაციებისათვის იძლევა.

იაპონელ ექსპორტიორთა აქტივობა, კერძოდ, გამოიხატება იაპონური საქონლის ფართო რეკლამირებით და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველა სამრეწველო გამოფენასა და ბაზრობაში იაპონიის მონაწილეობით.

იაპონიის კაპიტალს ექსპანსიის ერთ-ერთი მთავარი ობიექტია ინდოეთი. ინგლისური გაზეთის „ფაინენშლ ტაიმსის“ ცნობებით, 1952 წელს იაპონიამ ინდოეთში შეიტანა ორჯერ მეტი საქონელი, ვიდრე 1951 წელს. საფეიქრო საქონლის გარდა, ინდოეთის ბაზარზე იგზავნება სულ უფრო მეტი იაპონური ლითონის ნაწარმი, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა, საფეიქრო მანქანები და სხვ. გაზეთმა აგრეთვე გამოაცხადა, რომ იაპონია აშუშავებს ინდოეთში დიდ კაპიტალდაბანდებათა — წელიწადში ასობით მილიონი დოლარის დაბანდების გეგმებს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკაში იაპონიის დამკვიდრება ხორციელდება შეერთებული შტატების პირდაპირი მითითებით და მათი ინტერესებისათვის. ამერიკის მონოპოლიები, რომლებიც კონტროლს უწევენ იაპონურ კაპიტალს, მას იყენებენ იმისათვის, რომ დაანგრიონ ინგლისის ეკონომიკური პოზიციები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და დაიპყრონ მსოფლიოს ამ ვრცელი რაიონის ეკონომიკა.

იაპონურ-ამერიკული კაპიტალის ხრიკები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იწვევენ ინგლის-ამერიკისა და ინგლის-იაპონიის წინააღმდეგობათა გამწვავებას. „ინგლისი, — წერდა ამერიკული გაზეთი „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსი“, — უკმაყოფილოა იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აკეზებენ იაპონიის შეჭრას აზიაში. ინგლისელები შეერთებულ შტატებს ბრალად სდებენ, რომ ისინი... იაპონიას ეხმარებიან კოლომბოს გეგმის ჩაშლაში“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეგრეთწოდებული „კოლომბოს გეგმის“ აბრით იმალება ინგლისის მიერ შემუშავებული პროგრამა — ექსპლოატაცია გაუწიოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ადამიანთა და მატერიალურ რესურსებს, სავსებით ცხადი ხდება, რომ ინგლისისა და ამერიკა-იაპონიის ინტერესების ახლანდელი შეტაკება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში წარმოადგენს, საბოლოო ანგარიშით, იმპერიალისტ მტაცებელთა ბრძოლას პრიორიტეტისათვის ამ ქვეყნების ხალხთა ექსპლოატაციის საქმეში.

ბონის ხელისუფალთა ტერორი დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ფორვერტსი“ დღეს იუწყება, ბონის პოლიციის ხელისუფლებამ დასავლეთ გერმანიაში დაიწყეს ტერორის კამპანია „სოციალისტური მოქმედების ჯგუფის“ წინააღმდეგ, რომელიც აერთიანებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელობის პოლიტიკისადმი ოპოზიციურად განწყობილ სოციალ-დემოკრატებს. 8 თებერვალს დილით ბონის უმაღლესი პროკურორის როსის განკარგულებით გაჩხრიკეს ქვემო საქსონიის, ჰესენის, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიისა და შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარეების „სოციალისტური მოქმედების ჯგუფის“ შენობები, ყოველკვირეული გაზეთის „სოციალისტიშე აქციონის“ გამომცემლობის შენობა, აგრეთვე ამ ორგანიზაციის აქტივისტების ბინები. „სოციალისტური მოქმედების ჯგუფის“ ხელმძღვანელები ავგუსტ კუპერი, ჰორსტ ბოე და რობერტ შტაიგერვალდი დაამტანჯეს და საპყრობილეში ჩასვეს.

იტალიაში პროტესტს აცხადებენ საარჩევნო «რეფორმის» ანტიდემოკრატიული პროექტის წინააღმდეგ

რომი, 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, გუშინ იტალიის ბევრ ქალაქში გაიმართა საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები საარჩევნო სისტემის „რეფორმის“ პროექტის წინააღმდეგ. ქალაქ როვიგოში მოიწყო ამავე სახელწოდების პროვინციის ქალაქების მერებისა და ყველა თემის დემოკრატიულ მუნიციპალური მრჩეველების კრება. კრების მონაწილეებმა მიიღეს „რეფორმის“ შესახებ მოეწყოს სახალხო რეფერენდუმი.

ქალაქ ფორლში გაიმართა კომუნისტური და რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენელთა დისკუსია „რეფორმის“ პროექტის გამო. დისკუსიას დაესწრო ათასობით მოქალაქე, რომლებმაც მხურვალედ მოიწონეს კომუნისტების მიერ გაკეთებული დასაბუთება.

მასობრივი უმუშევრობა საბერძნეთში

ათენი, 10 თებერვალი. (საკდესი). ბერძნული პრესა აღნიშნავს საბერძნეთში მრეწველობის სამშვიდობო დარგების შემდგომ შეკვეცას და უმუშევრობის ზრდას. „უმუშევართა არმია, იუწყება გაზეთი „პროოდევტიკოს ფილელეფთეროსი“, დღითიდღე მატულობს. განსაკუთრებით ძძიმე მდგომარეობაში არიან თამბაქოს მრეწველობის მუშები. მარტო უკანასკნელ რამდენიმე დღეში ქალაქ ვოლოსში დაითხოვეს 400 მუშა. უმუშევართა რაოდენობამ ამ ქალაქში 7,5 ათასს მიაღწია. ქალაქ კალამში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის ნახევარი უმუშევარია. გაზეთი „აყვი“ წერს, რომ საფეიქრო საწარმოებში მასობრივი დათხოვნის შემდეგ ფეიქარ მუშათა 25 პროცენტს სამუშაო აღარა აქვს“.

გაზეთი „პროოდევტიკოს ფილელეფთეროსი“ წერს: „საბერძნეთში 1.200 პროფესიულ მსახიობიდან 700 კაცს ამჟამად სამუშაო არა აქვს, ხოლო იმათი მდგომარეობა, ვინც ჯერ კიდევ მუშაობს საბერძნეთის თეატრებში, ჭეშმარიტად შემაძრწუნებელია“.

ელას პრესის სააგენტოს ცნობით, საბერძნეთის მთავრობა აპირებს უახლოეს მომავალში დაითხოვოს 40 ათასამდე სახელმწიფო მოსამსახურე, ე. ი. საბერძნეთის მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 40 პროცენტი.

გადადგა საფრანგეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი

პარიზი, 10 თებერვალი. (საკდესი). როგორც პარიზის რადიო იუწყება, გუშინ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ბუტემმ მინისტრთა სბჭოს თავმჯდომარეს რენე მეიერს გადასცა განცხადება გადადგომის შესახებ. მეიერი მის გადადგომას დათანხმდა. როგორც ცნობილია, საფრანგეთის საზოგადოებრიობა მტკიცე პროტესტს აცხადებდა იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობაში შევიდა პეტენელი ბუტემი, რომელიც ჰიტლერელებთან თანამშრომლობდა და ღალატობდა ფრანგ პატრიოტებს.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

11 თებერვალს	პ. ჩაიკოვსკი—ПИКИ ДАЛИ (ვ. ულიანოვის მონაწილეობით)
12 თებერვალს	ბ. ასაფიევი — ბალჩისარაის შადრევანი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს რადიოგადაცემათა 12 თებერვლის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — მარშები; 09.20 — ქართული ხალხური სიმღერები; 12.15 — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით; 12.45 — კონცერტი; 17.15 — არიები ოპერებიდან; 17.40 — გადაცემა ბავშვებისათვის. საუბარი „ატომი და ატომის ენერგია“; 18.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი: ფრანკის სიმფონია; 18.40 — საუბარი: „საბჭოთა საარჩევნო სისტემა“; 19.20 — საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები; 19.40 — საუბარი „ჰიდროტექნიკური მშენებლობის წარმატებები და პერსპექტივები საბჭოთა კავშირში“. **რადიოსადგურით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 20.30 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის (რადიოსადგურებით); 20.50 — ტრანსლაცია მოსკოვიდან; 00.05 — საცეკვაო მუსიკის კონცერტი.

შვილები თამარ, დავით, ვლადიმერ, ბენო, სიძე რაჟდენ კუხალაშვილი ოჯახით იუწყებიან **ელიტე ივანეს ასულ ყორყოლიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-II, 8 ს. გადასვენება 9 ს. სადგურზე. დაკრძალვა 15-II სოფელ მაღლაკში (წყალტუბოს რაიონი).

დედა ტისიკო, მეუღლე ეანი, შვილი გივი, დედამთილი თამარ, მამამთილი მიხეილ ნიკურაძეები, ნიკოლოზ, გიორგი, ვახტანგ, ნინო თევზაძეები ოჯახებით იუწყებიან **ანა პარმენის ასულ მხეიძე-ნიკურაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-II, 8 ს. გამოსვენება 12-II, 4 ს. პეროვსკაიას ქ. № 11.

დედა ტასო, მეუღლე ელენე, შვილები თამარ, ქეთევან, ელენე, სიძეები გ. კორსავა, ა. ჭითანავა, ვ. კაჭარავა, დები ანეტა, კატო და შვილიშვილები იუწყებიან **მიხეილ გიორგის-ძე ორჯონიკიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-II ქ. ზესტაფონში. გამოსვენება ჯორჯიაშვილის ქ. № 22.

მშობლები დესპინე, ლევან, ძმა ვალერიან იუწყებიან **გიორგი ყუფუნიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13, 14-II, 8 ს. გამოსვენება 15-II, 4 ს. ფალიაშვილის ქ. № 50-ბ.

რ. ქადგიშვილი, გ. ნორაკიძე, გ. დავითულიანი, ლ. ცირეკიძე, ს. ბაბუნაშვილი, ვ. ჭოხონელიძე, ა. კიკნაძე, მ. გუდიევი, ს. გერგაია, ვ. გორგინოვი, ვ. კაკულია იუწყებიან **თომა ანტონის-ძე ჭოლოკავას** გარდაცვალებას.

შვილი მარიამ ბარბაქაძე, და ტასო მეუნარგია, დისწულები ნატალია, ნინო, ზინა ტორჩინავა, პავლე ქორქია, სიძე ვლადიმერ თოფურიძე ოჯახებით იუწყებიან **ევგენი დიმიტრის-ძე ხოჭოლავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 12-II, 4½ ს. ქალაქის I საავადმყოფოდან.

შვილები ლევან, დავით, რძლები მარო, ფატი, შვილიშვილები ნოდარ, ოთარ მეუღლეთ იუწყებიან **თომა ანტონის-ძე ჭოლოკავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-II, 8 ს. გამოსვენება 12-II, 5 ს. ლოტკის შესახვევი № 3.

ნ. ბერძნიშვილი, თ. გელაშვილი, ნ. შეყრილაძე, ქ. ოსაძე, ა. შაშუტკინა, ქ. ახობაძე, ნ. შამათავა, ქ. აბულაძე, თ. მამალაძე, ლ. გრძელიშვილი,